

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტი



კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტის გვანცა ღვინაშვილის

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: იძულებით დადებული გარიგება სასამართლო პრაქტიკაში და მისი გამიჯვნა  
ამორალური გარიგებისგან

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019 წელი

**სარჩევი:**

<b>I შესავალი</b> .....	<b>4</b>
<b>II გარიგებანი</b> .....	<b>6</b>
1. ზოგადი მიმოხილვა .....	6
2. ნების გამოვლენა .....	8
3. ნების ნაკლი.....	11
4. ბათილი გარიგების სახეები .....	14
4.1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი.....	15
4.2. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი.....	15
4.3. მერყევად ბათილი გარიგებანი.....	16
4.4. საცილო გარიგებანი.....	17
<b>III იძულებით დადებული გარიგება</b> .....	<b>18</b>
1. ზოგადი დებულებები .....	18
2. ძალადობა .....	20
2.1. ძალადობის ხასიათი .....	22
2.2. მართლწინააღმდეგობა.....	22
3. მუქარა .....	23
3.1. მუქარის ხასიათი.....	26
3.2. მართლწინააღმდეგობა.....	28
4. მიზეზშედეგობრიობა იძულებასა და ნების გამოხატვას შორის .....	32
5. შეცილების ვადა .....	33
<b>IV იძულებით დადებული გარიგება სასამართლო პრაქტიკაში</b> .....	<b>34</b>
1. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა იძულებით დადებულ გარიგებასთან მიმართებით.....	34
2. მტკიცების ტვირთის გადანაწილება სასამართლო პრაქტიკის მიხედვით .....	41

3. შეცილების ვადა სასამართლო პრაქტიკაში .....	44
3.1. შეცილების ვადასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.....	46
<b>V კანონსაწინააღმდეგო, საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებანი</b> .....	<b>46</b>
1. ზოგადი დებულებანი .....	46
2. კანონსაწინააღმდეგო გარიგებანი .....	47
3. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებანი .....	49
4. ზნეობის საწინააღმდეგო, ამორალური გარიგებანი.....	54
4.1. ზოგადი მიმოხილვა .....	54
4.2. სამართალი და ზნეობა.....	56
4.3. მორალური ღირებულებები და ამორალურობის კრიტერიუმები გარიგების ბათილობისას .....	58
<b>VI იძულებით დადებული გარიგების გამიჯვნა ამორალური გარიგებისგან .....</b>	<b>63</b>
1. ზოგადი მიმოხილვა .....	63
2. იძულებით დადებულ და ამორალურ გარიგებათა გამიჯვნის კრიტერიუმები .....	65
3. იძულებით დადებული და ამორალურ გარიგებათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.....	66
<b>VII დასკვნა.....</b>	<b>69</b>
ბიბლიოგრაფია.....	71

## აბრევიატურა

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

სკს - საერთაშორისო კერძო სამართალი

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

მაგ. - მაგალითად

მუხ. - მუხლი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

Aufl. – Auflage

BGB – Bürgerliches Gesetzbuch

MüKo – Münchener Kommentar

p. – page

Rn. - Randnummer

## I შესავალი

ადამიანი, როგორც გონითი არსება, უფლებამოსილია თავისუფლება ჰქონდეს, რაც თავისთავად მოიცავს თავისუფალ გონს. იგი, როგორც თავისუფალი, არის თავისთავად მოაზროვნე და თავისუფალი გონითი ნება.<sup>2</sup> ნება პირის შინაგანი, სუბიექტური ნდომაა რაიმეს მიმართ. ხოლო გარიგება, როგორც პირებს შორის სასურველი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძველი, სოციალურ საზოგადოებაში პირის თავისუფალ ნებაზეა დამყარებული. შესაბამისად, ნების არსებობის გარეშე აზრს მოკლებულია გარიგებაზე მსჯელობა. გარიგების იდეა მოქმედი პირის გონებაში წარმოიქმნება და სათანადო გამოცხადების საშუალებით გამოიხატება.<sup>3</sup>

სამოქალაქო სამართალი დამყარებულია პირთა ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებზე. შესაბამისად, სამართლებრივ ურთიერთობებში პირები საკუთარი გონის, სუბიექტური განწყობისა და ნდომის მიხედვით მოქმედებენ გარიგების დადებისას. რაც გულისხმობს, პირთა მიერ სამართლებრივი ურთიერთობების წამოწყებას ნამდვილი ნების საფუძველზე. იგი ინდივიდისავე ნებელობითი ქმედების აქტად მიიჩნევა, რომლის განხორციელება, თავის მხრივ, სუბიექტის შეცნობის დონის არსებობას გულისხმობს.<sup>4</sup> სამოქალაქო სამართალი გარიგების დადებასა და ნამდვილობას სწორედ პირის თავისუფალ, ნამდვილ ნებას უკავშირებს.

სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები თავისთავად უკავშირდება ინდივიდის თავისუფალ გონს, რომელსაც სამართალი თავისუფლად ქცევის უფლებას ანიჭებს. ინდივიდის ნების ჩამოყალიბების პროცესში რაიმე სახით ჩარევა შეზღუდული და დაუშვებელია. ამასთან, დაუშვებელია პირზე და მის ნებაზე ისეთი ზემოქმედების განხორციელება, რომელიც მისი ნების ამკარად მოდრეკას უკავშირდება.

<sup>1</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 16.

<sup>2</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 17-22.

<sup>3</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 23.

<sup>4</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016. 19.

იძულებით დადებული გარიგება ნების ნაკლის გამო დადებული გარიგების ყველაზე მძიმე ფორმაა<sup>5</sup> და აღნიშნული საფუძვლით გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე არაერთი საქმეა განხილული სასამართლოს პრაქტიკაში. იძულებით დადებული გარიგების სპეციფიკის გათვალისწინებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკა. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია იძულებით დადებული და ამორალურ გარიგებათა დამახასიათებელი ნიშნებისა და თავისებურებების განსაზღვრა როგორც იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების, ისე სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით და ზემოაღნიშნულ გარიგებათა ურთიერთმიმართების წარმოჩენა გამიჯვნის კრიტერიუმთა დამახასიათებლად და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საშუალებით.

ხშირია შემთხვევა, როცა სასამართლო სწორად ვერ აღიქვამს იძულების ხასიათს, მის თავისებურებებსა და მასთან დაკავშირებულ სუბიექტური შეფასების კრიტერიუმებს. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება იძულებით დადებული გარიგების ძირითადი თავისებურებები და სასამართლო გადაწყვეტილებების საშუალებით, მათი პრაქტიკული რეალიზაციისა და შეფასების თაობაზე გაკეთებული განმარტებები.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ნაშრომში განხილული იქნება იძულებით დადებულ გარიგებასა და ამორალურ გარიგებას შორის ურთიერთმიმართება და მათი გამიჯვნის კრიტერიუმები. აღნიშნული საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იძულებით დადებული გარიგებას, იძულების, როგორც სოციალურად დასაძრახი ქმედების ელემენტის გათვალისწინებით, ყოველთვის ახასიათებს ამორალურობა. თუმცა ისინი გარიგების ბათილობის დამოუკიდებელი საფუძვლებია და ერთ შემთხვევაში, სახეზეა საცილო გარიგება, ხოლო მეორე შემთხვევაში, უცილოდ ბათილი გარიგება. ამდენად, აღნიშნული საფუძვლების პრაქტიკული გამოყენებისას საინტერესოა სასამართლოს დამოუკიდებულება იძულებით დადებულ და ამორალურ გარიგებათა ურთიერთმიმართების თაობაზე.

---

<sup>5</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 261.

## II გარიგებანი

### 1. ზოგადი მიმოხილვა

გარიგება პირთა ნების გამოვლენასთან არის დაკავშირებული და გადამწყვეტია ნების გამოვლენის თვისობრიობა, გარიგებას აყალიბებს მხოლოდ ისეთი ნებელობითი აქტი, რომელიც სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვითაა განხორციელებული.<sup>6</sup>

გარიგება კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების განხორციელების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, ამასთან იგი სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს.<sup>7</sup> იმ გარემოების არსებობისას, როცა პირი ანგარიშს უწევს საკუთარ ქმედებასა და ხელმძღვანელობს მასზე, მისივე ნებელობითი ქმედების აქტად მიიჩნევა გარიგება, რომლის განხორციელება, თავის მხრივ, სუბიექტის შეცნობის დონის არსებობას გულისხმობს.<sup>8</sup>

იგი კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა და არამხოლოდ სამოქალაქო სამართალში გამოიყენება.<sup>9</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გარიგების განმარტებას 50-ე მუხლი ითვალისწინებს და იგი ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე ვრცელდება, მაგალითად, ქორწინება, ანდერძი, საერთო კრების გადაწყვეტილებები და ა.შ.<sup>10</sup> თანამედროვე სამართალში სახელშეკრულებო სამართალი მე-19 საუკუნიდან განვითარდა და ეკონომიკურ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად გაძლიერდა.<sup>11</sup> თანამედროვე ევროპული კერძო სამართალი გარიგების ცნებას პირის ან პირთა ნების გამოვლენას უკავშირებს, შესაბამისად იმ შემთხვევაში, როცა ნების გამოვლენა არ არსებობს გარიგების არსებობის მტკიცება უსაფუძვლოა. რაც შეეხება გარიგების ცნებას, მნიშვნელოვანია, რომ რომაულ სამართალში გარიგების შესატყვისი ტერმინი არ არსებობდა და იურისტები იყენებდნენ ცნებას „ნეგოტიუმ“, რომელიც თვისობრიობის მქონე ნებისმიერ მოქმედებას გულისხმობდა.<sup>12</sup>

გარიგება გერმანული წარმოშობის სიტყვაა და სამართლებრივ საქმეს ეწოდება. სამართლებრივ საქმეში ზოგიერთი ავტორის განმარტებით, ნებადართული ადამიანური ქმედებები ითვლებოდა, კერძოდ ისეთი ქმედებები, რომელთა საგანს

<sup>6</sup> *ჰანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 331. იხ. ციტირება: *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 22.

<sup>7</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 50, 1-ლი ველი.

<sup>8</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 19.

<sup>9</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 50, 1-ლი ველი.

<sup>10</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 50, 1-ლი ველი.

<sup>11</sup> *Turner*, Contract Law, second edition, 2007, 1.

<sup>12</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 22.

უფლებები და ვალდებულებები შეადგენს.<sup>13</sup> იგი არ გამოიყენებოდა მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში და ფართო მნიშვნელობა გააჩნდა. გერმანულ სამოქალაქო კოდექსში გარიგების ზუსტი განმარტება არ არის მოცემული, თუმცა, იგი წარმოადგენს შეთანხმებას რომელსაც გააჩნია სამართლებრივი შედეგის მიზნობრიობა.<sup>14</sup> ძველ ქართულ სამართალში გარიგება მეტად ფართო გაგებით გამოიყენებოდა და რაიმეს დადგენას, განსაზღვრას გულისხმობდა.<sup>15</sup> იგი მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივ მოვლენას არ წარმოადგენდა. „გარიგება“ უმეტეს შემთხვევაში წესის, ნორმის მიხედვით გამოიყენება. ძველ წყაროებთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გარიგების ცივილისტურ-სამართლებრივი მნიშვნელობა იშვიათად გამოიყენება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. სადაც გარიგება შეთანხმების აზრითაა გამოყენებული. გარიგების მნიშვნელობის ქრონოლოგიური შეფასებისას იკვეთება, რომ დასაწყისში მას მეტად ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო განვითარების შემდგომ ეტაპზე სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათი შეიძინა.<sup>16</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგებას მისივე განმარტებით ნების გამოვლენას უკავშირებს და ნების გამოვლენის თეორიას უჭერს მხარს. აღნიშნული განმარტებით გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.<sup>17</sup> ნების გამოვლენის ინსტიტუტი საქართველოში 1997 წლის რეფორმის შედეგად დამკვირდებული მნიშვნელოვანი სიახლეა. საკანონმდებლო მოწესრიგებაში ტერმინი „გარიგების“ ნაცვლად ხშირად გამოიყენება „ნების გამოვლენა“. შესაბამისად, საბჭოური ტერმინის „მოქმედების“ ნაცვლად კანონმდებლობაში ნების გამოვლენა დამკვიდრდა,<sup>18</sup> რაც მეტად ამყარებს გარიგების შინაარსისა და ნამდვილობის ნების გამოვლენაზე დამოკიდებულებას.

იგი თავისი ხასიათით ყოველი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ყოველდღიურობას წარმოადგენს. მასში მონაწილე პირთა რაოდენობის მიხედვით იგი შეიძლება დაიყოს, როგორც ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებად. მიუხედავად იმისა, რომ, უმეტეს შემთხვევებში, იგი წარმოადგენს ორმხრივ ან მრავალმხრივ ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ, არის შემთხვევები, როცა გარიგებად ითვლება ისეთი ნებელობითი ქმედება, რომელიც მხოლოდ ცალმხრივადაა გამოხატული.

ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაში, სამართალი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა სამართლებრივი

<sup>13</sup> *ქობაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 22.

<sup>14</sup> *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portland Oregon, 2002, 13.

<sup>15</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 290.

<sup>16</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 166.

<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი.

<sup>18</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 232.

ურთიერთობის წარმომშობი, შემწყვეტი ან შემცვლელი ფაქტორია. ამის მაგალითია ანდერძი, რომლის დროსაც მამკვიდრებელი ცალმხრივად გამოხატავს მის ნებას სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით, ხოლო სამკვიდროს მიღების თანხმობა არ არის სავალდებულო.<sup>19</sup> კერძოსამართლებრივ სხვაგვარ ურთიერთობებში მეტი სიხშირით ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები გამოიყენება, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება, იგი ხშირად ორ პირს შორის იდება, ხოლო მრავალმხრივი გარიგების მაგალითი შეიძლება იყოს საზოგადოების გადაწყვეტილება პარტნიორთა კრებაზე. ორივე მათგანის შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი ურთიერთშეთანხმებული ნებით მიიღწევა.<sup>20</sup>

## 2. ნების გამოვლენა

ნების გამოვლენა პირველ რიგში მის ფორმირებასთან არის დაკავშირებული, მისი ფორმირება ინდივიდის სუბიექტურ წარმოდგენებში ხდება და სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილისას მის სამართლებრივად სწორი ფორმით გამოვლენაში გამოიხატება. „ნება შინაგანი ფსიქიკური მომენტია, რომელიც გარეშე პირთათვის მიუწვდომელია, ამიტომ საჭიროა მისი გამოვლენა, გამოაშკარავება ანუ განსაზღვრულ ფორმებში ნებისყოფის გამოხატვა, რათა ნების გამოვლენის ადრესატმა მისი აღქმა შეძლოს.“<sup>21</sup>

ადამიანი, როგორც გონითი არსება, უფლებამოსილია ჰქონდეს თავისუფლება, რადგან იგი თავისთავად მოიცავს თავისუფალ გონს.<sup>22</sup> სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედი ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები თავისთავად უკავშირდება ინდივიდის თავისუფალ გონს, რომელსაც სამართალი თავისუფლად ქცევის უფლებას ანიჭებს. მისი უპირველესი განსაზღვრებაა პიროვნული „მე“, ხოლო აზროვნება უპირველესია რითაც ადამიანი და ბუნება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ფილოსოფიას გონი ესმის, როგორც მარადისი გარდაუვალი განვითარება და გონის მთელი ევოლუცია მისი თვითამაღლებაა ჭეშმარიტებამდე.<sup>23</sup>

გარიგებაზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, სწორედ ინდივიდის გონით ჩამოყალიბებული ნება. მისი დახასიათებისას, ზოგ შემთხვევაში, ნების გამოვლენა და გარიგება ერთმანეთთან გაიგივებულია. მიუხედავად იმისა, რომ იგი გარიგების უმთავრესი ელემენტია მხოლოდ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი გარიგების ნამდვილობისათვის.<sup>24</sup> იგი არის „კონკრეტული სამართლებრივი შედეგის

<sup>19</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 290.

<sup>20</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 295.

<sup>21</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 21.

<sup>22</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 17.

<sup>23</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016, 17.

<sup>24</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 315.

დადგომისკენ მიმართული სუბიექტური ნების ობიექტურად შეცნობადი განცხადება.<sup>25</sup>

ნების გამოვლენის ინსტიტუტი გარიგების ძირითად ბირთვად მიიჩნევა, თუმცა როგორც აღინიშნა მხოლოდ ნების გამოვლენა სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს და იგი მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული.<sup>26</sup> გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ნების ნამდვილობაზე, რაც მის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას გულისხმობს.<sup>27</sup> კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ნების გამოვლენის მიუხედავად, იგი მიმართული უნდა იყოს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ, კერძოდ, გარიგების რომელიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისაკენ, მაგალითად, ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ნარდობის და სხვა ხელშეკრულების ან/და გარიგების დადებისაკენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნების გამოვლენა ფართო მნიშვნელობით მოიაზრება. ნამდვილი ნების გამოვლენისათვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს, ერთი მხრივ, დაცული უნდა იყოს მატერიალური, ხოლო, მეორე მხრივ, ფორმალური წინაპირობები. რომლებშიც მოიაზრება პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა და სხვ.) და ნების გამოხატვის სამართლებრივი ფორმა.<sup>28</sup> მისი ნამდვილობა სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. ამასთან, გათვალისწინებულია, მიღებადსავალდებულო და არამიღებადსავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობა.<sup>29</sup> ცალმხრივი ნების გამოვლენა, ფაქტობრივად, ნამდვილია მისი გაცხადებისთანავე. რადგან ცალმხრივი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული არ არის სხვა პირის ნების გამოვლენაზე ან მის მიღებაზე. რაც შეეხება მიღებადსავალდებულო ნების გამოვლენას, იგი ნამდვილია „მისვლის“ მომენტიდან, როდესაც ადრესატს არსებული გარემოებების გათვალისწინებით, აქვს მისი შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, გაეცნობა თუ არა იგი მას რეალურად.<sup>30</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ნების გამოვლენის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ყველა სამართლის ოჯახი მსგავს მიდგომას არ იზიარებს და სხვადასხვა ქვეყნების სამართალში მისი ნამდვილობა სხვადასხვა გარემოებათა დადგომაზეა დამოკიდებული. საქართველოს კანონმდებლობა „მიღების თეორიას“ აღიარებს, გერმანული სამართლის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პირის მიერ ნების გამოვლინება და მისი მოქცევა ადრესატის ძალაუფლების ქვეშ მყოფ გარემოში. ნების გამოვლენის შეტყობინების თეორია, მისი ნამდვილობისათვის საკმარისად

<sup>25</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 232.

<sup>26</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 293.

<sup>27</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 50, მე-6 ველი.

<sup>28</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 292. იხ. ციტატა: *თუმანიშვილი*, გარიგებები, თბილისი, 2012, 6; *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 50, მე-3 ველი.

<sup>29</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 243.

<sup>30</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 243.

მიიჩნევს მის გაგზავნას (მაგალითად, წერილის გაგზავნას). ნების გამოვლენის მიღების თეორია კი მის ნამდვილობას უკავშირებს გამოვლენილი ნების ადრესატამდე მისვლას.

ქართულ კანონმდებლობაში აღნიშნულ საკითხს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი არეგულირებს. იგი აწესრიგებს მხოლოდ იმ ნების გამოვლინებებს, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ. სათაურის მიუხედავად, იგი გამოიყენება როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლინებების მიმართ, სადაც ფიგურირებს მიღებადსავალდებულო ნების გამოვლენა.<sup>31</sup> თუმცა, იგი მნიშვნელოვანია ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაშიც, მაგალითად, ანდერძის დაწერისას ერთი პირის ნების გამოვლენა საკმარისია მისი ნამდვილობისათვის, იგი ნამდვილია მისი შედგენის მომენტიდან, მიუხედავად მემკვიდრეების მიერ ანდერძის მიღებისა. თუმცა სამართლებრივი შედეგის გამოწვევის მიუხედავად, შედეგის დადგომისთვის სავალდებულოა გარიგების მეორე ნაწილის მიერ ნების გამოვლენის მიღება.<sup>32</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, სამართლებრივი ურთიერთობების შექმნის მიზანი ხელშეკრულების დადებისას ძირითადი ელემენტია. სამართლებრივი შედეგის დადგომის განზრახვა გარკვეულწილად მხარეთა მზადყოფნა განახორციელონ სამართლებრივად თანმიმდევრული მოქმედებანი შედეგის მისაღწევად. სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეშე დადებული გარიგება, ფაქტობრივად, აღუსრულებადია. ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების დადებისას, პირის რეალურ ნებას უნდა წარმოადგენდეს ის შინაარსი, რომელსაც მოიაზრებს განსაზღვრული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.<sup>33</sup>

განსახილველ თემასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, როგორც ნების გაცხადება/გამოვლენა მისი „ვარგისი“ სახით, ისე მისი ჩამოყალიბების პროცესი. ნების ფორმირების პროცესი სამართალში არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია. იგი სუბიექტური კომპონენტია და აუცილებელია მისი ჭეშმარიტი ნების მხედველობაში მიღება, ვინაიდან, არაერთი ბათილობისა თუ საცილობის საფუძველი სწორედ ნებისა და მისი გამოხატვის განსხვავებიდან გამომდინარეობს.<sup>34</sup>

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ გამოვლენილი ნება შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში ნაკლიანი იყოს, რაც მის სამართლებრივ შედეგებზე ახდენს გავლენას. ნების ნაკლთან დაკავშირებული გარემოებების განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მხარის თავისუფალი განვითარების უფლებისა და ნების მიმღების კანონიერი ინტერესები, კანონიერი ნდობისა და ნების

<sup>31</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcoge.ge, მუხ. 51, 1-ლი ველი.

<sup>32</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcoge.ge, მუხ. 51, მე-2 ველი.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №ას-1230-2018 განჩინება, 18.8.

<sup>34</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 238.

გამომვლენის საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის მომენტი, მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის თანაფარდობა იყოს დაცული.<sup>35</sup>

### 3. ნების ნაკლი

სამოქალაქო სამართალში ისეთ ვითარებას, როცა „გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამომვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება კი ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, ნების ნაკლი ეწოდება“.<sup>36</sup> არსებობს ნების გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ნების ნაკლი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარიგება გარკვეულწილად გაიგივებულია ნების გამოვლენასთან. მიუხედავად იმისა, რომ გარიგების ნამდვილობა სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია, მხარის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივად ვარგისად მიჩნევა და მისი შესაბამისობა ნამდვილობის წინაპირობებთან. ინდივიდები შინაგანი, სუბიექტური ნების გაცხადებით აფიქსირებენ იმ მიზანს რომელის მიღწევაც სურთ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არის შემთხვევები, როდესაც პირის მიერ გაცხადებული ნება არ ემთხვევა მის შინაგან ნებას და მისი გამოვლენა სახვადასხვა გარემოებებითაა განპირობებული.<sup>37</sup>

ნების თეორიის თანახმად, პიროვნების პერსონალური ავტონომია ხელშეკრულების მბოჭავ ძალასთან არის დაკავშირებული. გარიგების სავალდებულოება მხარეთა ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებისა და პირთა ნების თავისუფალი ნების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს.<sup>38</sup>

ნაკლოვანი ნების საფუძველზე დადებული გარიგება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით პიროვნებისათვის მინიჭებულ თავისუფალი განვითარების უფლებას. ნების ნაკლის განხილვისას, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს მხარის თავისუფალი განვითარების უფლებას, ნების მიმღების კანონიერ ნდობასა და მხარის პასუხისმგებლობის მომენტს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ნების ნაკლის სხვადასხვა ფორმა სხვადასხვაგვარი სამართლებრივი დაცვის ჩარჩოებში ექცევა.<sup>39</sup>

<sup>35</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

<sup>36</sup> *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 331; იხ. ციტატა: *ჯორბენაძე*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2/2011, 193.

<sup>37</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 360.

<sup>38</sup> *Markesinis/Unberat/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandndm oregon, 2006, 263; იხ. ციტატა: *ლაკერბაია*, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016, 167.

<sup>39</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

ნების ნაკლზე საუბრისას მნიშვნელოვანია მისი კომპონენტები. სამართლებრივ ურთიერთობაში ჩასაბმელად ნების გამოვლენა გადის გარკვეულ ეტაპებს, გერმანული დოქტრინის მიხედვით, ნების ნამდვილობის წინაპირობა აღნიშნული ფსიქოლოგიური ეტაპების უნაკლოდ გავლაა.<sup>40</sup> ფსიქოლოგიურ ეტაპებში შეიძლება იგულისხმებოდეს სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილის - ნების ჩამოყალიბების დასაწყისი და მისი განხორციელებისათვის ნების გაცხადება. განვითარების თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის პრინციპების გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საჭირო ნამდვილი ნება სწორად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მხარეს უნდა ჰქონდეს მასში მონაწილეობის სურვილი.

სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის სურვილი ყოველ ინდივიდში თავისთავად ყალიბდება. შესაბამისად, დაუშვებელია მასზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც საბოლოო ჯამში ნაკლულ ნებამდე მიგვიყვანს. პირს უნდა გააჩნდეს მოქმედების ნება, ანუ გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მისი სურვილი და შინაგანად სურდეს სამართლებრივი შედეგის დადგომა. ამასთან ერთად, ნების გამოვლენისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილი უზრუნველყოფს გარიგების ნამდვილობას. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი შედეგის მიმართ იგი არ გულისხმობს ზედმიწევნით ზუსტად ჩამოყალიბებულ გარიგების ნებას. საკმარისია გარკვეულ გარემოებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაც, რომელიც გამოვლენის შემდეგ აღქმადი იქნება მიმღებისათვის.<sup>41</sup>

ნების ნაკლის არსებობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ნების გამოვლენისა და პირის შინაგან ნებას შორის ურთიერთმიმართებაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლიანი ნება სწორედ მაშინაა სახეზე, როცა ისინი ერთმანეთს არ შეესაბამება. ნებისა და მისი გამოვლენის თანხვედრა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გარიგების ნამდვილობისათვის.<sup>42</sup> განასხვავებენ ნების ნაკლოვანად ფორმირებას და მის ნაკლულ გამოვლენას. ნების ფორმირება პირის თავისუფალ თვითგამორკვევასთან არის დაკავშირებული<sup>43</sup> და დაუშვებელია მასზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა. იგი შინაგანი ნების არასწორი ფორმირებაა, რაც გარკვეული გარემოფაქტორებით არის გამოწვეული.<sup>44</sup> მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს შეცდომა გარიგების შინაარსში.

---

<sup>40</sup> Pawlowski, allgemeiner Teil des BGB, Grundlehren de Burgerlichen Rechts, 7, Aufl. Muller, Heidenlberg, 2003, 272; იხ. ციტატა: კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, 9.

<sup>41</sup> კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 6.

<sup>42</sup> კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 7.

<sup>43</sup> ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011, 395.

<sup>44</sup> კიკოშვილი, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

რაც შეეხება ნების ნაკლულ გამოვლენას, იგი ნების გამოვლენისას დაშვებული ხარვეზიდან გამომდინარეობს, სადაც სწორადაა ფორმირებული მისი შინაგანი ნება, თუმცა პირი მას არასწორად გამოხატავს. შესაბამისად, მისი შინაგანი და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა.<sup>45</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნების ნაკლი შეიძლება დაიყოს გაცნობიერებულ და გაუცნობიერებელ ნაკლად. გაცნობიერებული ნაკლის შემთხვევაა, როცა გარიგების მონაწილე პირი აცნობიერებს არასასურველი ნების გამოვლენის რეალობას და გაცნობიერებულადვე სჩადის ამას. მაგალითად, თვალთმაქცური გარიგება, როცა პირს გააზრებული აქვს, რომ მისი ნების გამოვლენა ნაკლიანია და გარიგების შინაარსთან შეუსაბამოა. ნების ნაკლოვანი გამოვლენისას პირი ერთ შემთხვევაში აცნობიერებს იმას, რომ მის მიერ გამოვლენილი ნება არანამდვილია, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი უბრალოდ ვერ აღიქვამს მის ნამდვილ ნებასა და გამოვლენას შორის განსხვავებას.<sup>46</sup>

ნების გაუცნობიერებელი ნაკლი პირის ნების გამოვლენის დროს გამოიხატება, როცა პირი ვერ აცნობიერებს ნების გამოვლენისას დაშვებულ შეცდომას. ნაკლოვანი ნება სახეზე, მაშინ, როცა მის ფორმირებაში პირისგან დამოუკიდებლად გარკვეული ხარვეზი წარმოჩნდება, მაგალითად, სამართლით გათვალისწინებული შეცდომები, რომელთა გავლენასაც განიცდის პირი ნების ფორმირების დროს.

ნების გამოვლენის მოტივს, როგორც წესი, დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუმცა იგი მნიშვნელოვანი ხდება გარკვეული ზემოქმედების საფუძველზე გარიგების დადების შემთხვევაში. გარეგანი ზემოქმედებით დადებული გარიგებები ყველაზე მეტად ზღუდავს პირის თავისუფალი განვითარებისა და კერძო ავტონომიის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედებას მცდარი ინფორმაცია ან გამოუვალი მდგომარეობა უდევს საფუძვლად.<sup>47</sup> რომელიც, ფაქტობრივად ზემოქმედებს პირის სუბიექტური ნების ჩამოყალიბებაზე და მის თავისუფალ გონზე, რომლის სუბსტანცია სწორედ თავისუფლებაა.<sup>48</sup> მოცემულ შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, როცა გარკვეული გარეგანი ზემოქმედებანი თრგუნავენ პირის შინაგან ნებას საქმე გვაქვს ნების თავისუფლების ნაკლთან.<sup>49</sup> თავისუფალი ნების ხარვეზებს

---

<sup>45</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 9.

<sup>46</sup> *Brox/Walker*, Allgemeiner Teil des BGB, Munchen, 2006, 201; იხ. ციტატა: *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 10-22.

<sup>47</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 17.

<sup>48</sup> *ქოჩაშვილი*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016. 17.

<sup>49</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 17.

სწორედ ისეთ შემთხვევაში ვხვდებით, როცა სახეზეა მოტყუება, თაღლითობა ან იძულება.<sup>50</sup>

ნების გამოვლენა შინაგანი ნების გადაცემისა და მისთვის სამართლებრივი ხასიათის მინიჭების შესაძლებლობაა. ორმხრივი შეთანხმების შემთხვევაში კი დასახული სამართლებრივი მიზნის მიღწევის წინაპირობაა. მეორე მხრივ, პირის შინაგან ნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მისი ფორმირების ან ნების თავისუფლების ხარვეზის შემთხვევაში იგი უპირისპირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.<sup>51</sup> შესაბამისად, ის ხარვეზები, რომლებიც თავს იჩენენ გარიგების დადების პროცესში და პირის სუბიექტურ ნებაზე ზემოქმედებენ საბოლოოდ გარიგების ბათილობის საფუძველია.<sup>52</sup>

#### 4. ბათილი გარიგების სახეები

გარიგების ნამდვილობას უთანაბრდება ნების ნამდვილობასთან მიმართებით გამოყოფილი კომპონენტები, ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა, მათგან რომელიმეს ხარვეზი კი მის არანამდვილობას განაპირობებს.<sup>53</sup> ასეთ შემთხვევაში, გარიგება ბათილია, ხოლო შედეგი, რომელიც მისგან უნდა გამომდინარეობდეს ითვლება არარსებულად. ბათილი ნების გამოვლენის არანამდვილობას განაპირობებს ისეთი არსებითი და გამოუსწორებელი ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის სამართლებრივი შედეგის დადგომას. ფაქტობრივად ბათილი გარიგება ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს მისი მოქმედების ვერცერთ ეტაპზე.<sup>54</sup>

შესაბამისად, პირთა მიერ ნების გამოვლენა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება იწვევდეს სამართლებრივი შედეგის დადგომას, ხოლო ზოგ შემთხვევაში არა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს ნამდვილი და ბათილი გარიგების ცნებებს. გარიგება, რომელიც იწვევს მხარეთა მიერ სასურველი შედეგის დადგომას ნამდვილია. ხოლო, გარიგება, რომელსაც შედეგად არ მოჰყვება მხარეთა მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი, რადგან განხორციელებული ქმედება სამართლებრივად უვარგისადაა მიჩნეული, ბათილია. ქმედებები, რომლებიც გარიგების ბათილობას იწვევს განსხვავებულია. ამდენად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილობის ფორმები და სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს, უცილოდ ბათილ (არარა), ნაწილობრივად ბათილ და მერყევად ბათილ გარიგებებს, ამასთან ბათილ გარიგებებს უკავშირდება საცილო გარიგებებიც.<sup>55</sup>

<sup>50</sup> *MacMillan*, Mistakes in Contract Law, Oxford and Portland, Oregon, 2010, 104.

<sup>51</sup> *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 7.

<sup>52</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlanddm oregon, 2006, 264.

<sup>53</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 261.

<sup>54</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 261.

<sup>55</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 385-386.

#### 4.1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებანი

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ისეთი გარიგებაა, რომელიც დადებისთანავე ბათილია და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.<sup>56</sup> ასეთი გარიგება იმთავითვე ბათილია, ამასთან მისი ნამდვილობა არ არის დაკავშირებული გარიგების ბათილობის შემდგომ განხორციელებულ მოქმედებებთან. შესაბამისად, გარიგებები, რომლებიც ბათილადაა ცნობილი სამოქალაქოსამართლებრივ ჭრილში არ აქვთ სამართლებრივი შედეგობრიობა, თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მას ფაქტობრივი შედეგი არ მოჰყვება. გარიგების ბათილობა მის სამართლებრივ მოქმედებას უკავშირდება დროსა და სივრცეში, თუმცა ფიზიკურად განხორციელებული ქმედებების ანულირება, ფაქტობრივად, ვერ განხორციელდება. მაგალითად, ნივთის გაჩუქების შემდგომ გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საკუთრება ნივთის შემქმნეზე აღარ გადავა. მიუხედავად ამისა, ნივთი ფაქტობრივ მფლობელობაში შემქმნეს რჩება და გამჩუქებელს გარიგების ბათილობიდან გამომდინარე აქვს ზიანის ანაზღაურების, გარიგების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.<sup>57</sup> ამასთან, ბათილ გარიგებასთან მიმართებით კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დადასტურების შესაძლებლობას.<sup>58</sup> რითაც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, ფაქტობრივად, ახალი გარიგების დადების საშუალებით მიიღონ სასურველი სამართლებრივი შედეგი. ბათილი გარიგების დადასტურება არ გულისხმობს გარიგების ნამდვილად ქცევას, ვინაიდან, გარკვეულ გარემოებათა გამო იგი დადების მომენტიდან გაბათილებულია და იურიდიული ძალა მას ვერ მიენიჭება.<sup>59</sup>

#### 4.2. ნაწილობრივად ბათილი გარიგებანი

ნაწილობრივად ბათილი გარიგება ბათილი გარიგებების ერთ-ერთი სახეა. კერძოდ, ნაწილობრივად ბათილი გარიგება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა გარიგება ნამდვილია, თუმცა, მისი რომელიმე ნაწილია ბათილი. გარიგების კონკრეტული ნაწილის ბათილად ცნობა, როგორც წესი, იწვევს მის სრულად გაბათილებას, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებისას დასადგენია აღნიშნული ნაწილის კავშირი გარიგების დანარჩენ ნაწილებთან მიმართებით.<sup>60</sup> ამასთან, გარიგების ნაწილის ბათილობის სამართლებრივი საფუძველი არარელევანტურია, რადგან, მთავარია, აღნიშნული ნაწილი ისე გამოეყოს მთელს გარიგებას, რომ მისი ბათილობა არ გამოიწვიოს. შესაძლებელია, გარიგება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მაგალითად, იჯარა, ნასყიდობა და ა.შ. მისი ნაწილების გამოცალკევებისას, მნიშვნელოვანია, რომ დარჩენილ ნაწილს გააჩნდეს სამართლებრივი შინაარსი და აღქმულ იქნას სამართლებრივად ნამდვილ და

<sup>56</sup> *კანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 54, მე-7 ველი.

<sup>57</sup> *კანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 61, მე-7-მე-8 ველები.

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი.

<sup>59</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 388.

<sup>60</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 201-202.

შედეგობრივ გარიგებად.<sup>61</sup> ნაწილობრივად ბათილი გარიგების მომწესრიგებელი ნორმის<sup>62</sup> დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მისი სრულად ბათილად გამოცხადება, ამასთან, იმის გათვალისწინება გარიგებაში მონაწილე პირებს სურთ თუ არა გარიგების დარჩენილი ნაწილის მოქმედების გაგრძელება.<sup>63</sup> თუმცა, აღნიშნული პირდაპირ არ გულისხმობს გარიგების ბათილი ნაწილის მოქმედების გაგრძელების სურვილს. მათ შეუძლიათ გამოასწორონ ბათილი ნაწილის ნაკლოვანება, სამართლებრივი ურთიერთობა განაგრძონ მის გარეშე ან სრულად თქვან უარი გარიგებაზე.<sup>64</sup>

### 4.3. მერყევად ბათილი გარიგებანი

მერყევად ბათილი გარიგებათა კატეგორია ისეთი გარიგებებია, რომლებიც შესაძლებელია დადებისთანავე იყოს ბათილი, რადგან ნამდვილობისათვის გათვალისწინებული წინაპირობა არ გააჩნიათ.<sup>65</sup> ფაქტობრივად, ისეთი გარიგებებია, რომელთა ნამდვილობა კონკრეტულ წინაპირობაზეა დამოკიდებული და გარკვეული ქმედების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ნამდვილი გახდეს. მერყევად ბათილ გარიგებებში მოიაზრება, მაგალითად, არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება, რომელსაც მერყევად ბათილად სწორედ ის აქცევს, რომ მისი ნამდვილობა საჭიროებს კონკრეტული პირის თანხმობას. აღნიშნული თანხმობის შემდეგ კი იგი ნამდვილ გარიგებად ითვლება.<sup>66</sup> მერყევად ბათილი გარიგების დადების შემთხვევაში, სხვადასხვაგვარადაა მოწესრიგებული მისი მოწონების გათვალისწინებით გარიგების ნამდვილად აღიარების დრო. კერძოდ, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კანონიერი წარმომადგენელი არ მოიწონებს გარიგებას, იგი ბათილია მისი დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc. ხოლო, ამავე კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოწონებას, ფაქტობრივად უკუქცევითი ძალა აქვს და შემდგომი თანხმობის შემთხვევაში გარიგება ნამდვილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.<sup>67</sup>

რაც შეეხება, ისეთ გარიგებებს, რომლებიც მთლიანობაში ნამდვილია, თუმცა კონკრეტულ პირთა ან პირის მიმართ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ სამოქალაქო სამართალი ფარდობითი კატეგორიის გარიგებებად მიიჩნევა.<sup>68</sup>

<sup>61</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 62, მე-6-მე-8 ველები.

<sup>62</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი.

<sup>63</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 62, მე-2, მე-11 ველები.

<sup>64</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, 203.

<sup>65</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 392.

<sup>66</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 392.

<sup>67</sup> შდრ. Rütters/Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 27. იხ. ციტატა: *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-10 ველი.

<sup>68</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-11 ველი.

#### 4.4. საცილო გარიგებანი

საცილო გარიგებანი სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია და სწორედ მას ეხება ნაშრომში განხილულ საკითხთა ნაწილი. იგი დადების მომენტში ნამდვილია, თუმცა კანონით გათვალისწინებული შეცვლების შემთხვევაში კარგავს იურიდიულ ძალას და, ფაქტობრივად, ბათილია.<sup>69</sup> ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბათილობა დაკავშირებული და დამოკიდებულია პირის მიერ განხორციელებულ შეცვლებაზე, ამგვარი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, იგი ბათილია დადების მომენტიდანვე.

საცილო გარიგების ბათილობისათვის საჭირო არ არის სასამართლო გადაწყვეტილება, იგი ნამდვილი შეცვლების შემთხვევაში დადების მომენტიდანვე ბათილია. საცილო გარიგებათა ამგვარი მოწესრიგებით ქართული სამართალი განსხვავდება დსთ-ს ქვეყნებში არსებული რეგულირებისაგან, რომელიც საცილო გარიგების ბათილად ცნობას სარჩელს უკავშირებს.<sup>70</sup> ამასთან მიმართებით, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეცვლების ვადასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მოსარჩელემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა და ჩაითვალა, სადავო გარიგებასთან დაკავშირებით განხორციელებულ შეცვლებად.<sup>71</sup>

შეცვლების უფლება მისი ბათილობის ან ნამდვილობის მიმნიჭებელი უფლებაცაა,<sup>72</sup> გამომდინარე იქიდან, რომ პირს შეუძლია ნამდვილი შეცვლებით გამოიწვიოს გარიგების ბათილობა, ხოლო ამ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში საცილო გარიგება ნამდვილი ხდება. ამგვარი გარიგების მაგალითებია, მოტყუებით, იძულებით ან შეცდომით დადებული გარიგებები. რომლებსაც კონკრეტული წინაპირობები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში გარიგება საცილოდ ითვლება და შეცვლების განხორციელების შემთხვევაში დადების მომენტიდანვე ბათილია. ამასთან, საცილო შეიძლება იყოს თავად შეცვლება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა, თუკი იგი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.<sup>73</sup>

ვინაიდან, „შეცვლება სამართლებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა იგი არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცვლების უფლებას

<sup>69</sup> *ჰანტურია*, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 382.

<sup>70</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, მე-12 ველი; *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 270.

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 214.

<sup>72</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 54, 26-ე ველი; მუხ. 59, 27-ე ველი.

<sup>73</sup> შდრ. MüKo/Busche, BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 13. იხ. ციტატა: *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 59, 25-ე ველი.

განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს<sup>74</sup> ამასთან, კანონმდებლობა შეცილების ადრესატად გარიგების მეორე მხარეს მიიჩნევს, თუმცა აღნიშნული არ არის სავალდებულო. ადრესატი შეიძლება იყო ნებისმიერი პირი, რომელმაც აღნიშნული გარიგებით მიიღო სარგებელი.

რაც შეეხება შეცილების უფლების მქონე პირს, კანონმდებლობა ამ შემთხვევაში, აღნიშნულ უფლებას „ნებისმიერ დაინტერესებულ პირს“ ანიჭებს. ხოლო, დაინტერესებულ მხარედ მიჩნევს თავის, მთავარია, რომ საცილო გარიგებამ აღნიშნულ პირს ზიანი მოუტანა. ამასთან, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეცილების, რაიმე სპეციალურ ფორმას. შეცილების უფლების გამოყენებისას, მთავარია ჩანდეს, დაინტერესებული პირის სურვილი გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე.

### III იძულებით დადებული გარიგება

#### 1. ზოგადი დებულებები

კერძოსამართლებრივი ურთიერთობები დამყარებულია ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებზე, რომლებიც გულისხმობს, რომ ყოველ უფლებაუნარიან პირს აქვს უფლება და შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობები დაამყარონ სუბიექტური ნების გათვალისწინებით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში კი ხელშეკრულება აღარ ექცევა ნების ავტონომიის საფუძველზე დადებულ გარიგებათა კატეგორიაში და მისი რეალური საფუძველი მხარის მიერ ნაკლოვანი ნების გამოვლინებაა.

იძულებით დადებული გარიგება ნების ნაკლის საფუძველზე დადებული<sup>75</sup> საცილო გარიგების ერთ-ერთი სახეა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი პირს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს გარიგების ბათილობა, როცა გარიგება დადებულია აღნიშნული პირის იძულებით, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან და თავის თავში მოიცავს ძალადობას ან მუქარას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი გარიგებები წარმოადგენს საცილო გარიგების ტიპს, შესაბამისად, მისი ბათილობა დაკავშირებულია ხელშემკვრელი მხარის მიერ შეცილების განხორციელებასთან, განსხვავებით ბათილი გარიგებების ისეთი ტიპისაგან, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო ავტომატურად ბათილად ითვლება დადების მომენტიდანვე.<sup>76</sup> შესაბამისად, გარკვეულ წინაპირობათა დაკმაყოფილების შემთხვევაში ზოგიერთი გარიგება გაუქმებას ექვემდებარება.

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 212; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება; *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 392.

<sup>75</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 380.

<sup>76</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 384. იხ. ციტატა: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 85, მე-2 ველი.

ამასთან, საკმაოდ არ არის, რომ ზეწოლის არსებობა ხელშეკრულების დადებისას მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.<sup>77</sup>

იძულება თავის თავში მოიაზრებს პირზე გარკვეული სახის ზემოქმედებას, წნეხს, რომლის შედეგადაც პირი ახორციელებს მოძალადისათვის სასურველ ქმედებას, განსახილველ შემთხვევაში, დებს გარიგებას. იძულება მოიცავს, როგორც ძალადობას, რომელიც გულისხმობს პირდაპირი გაგებით ფიზიკურ ძალადობას, ისე მუქარას. იძულების ორივე ფორმა საბოლოოდ ემსახურება პირის ნების მოდრეკას.<sup>78</sup>

ნების ნაკლს წარმოშობს სწორედ ის გარემოება, რომ პირს შინაგანად არ სურს იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა, რაც გამოწვეული იქნება გარიგების დადებით, თუმცა მისი გამოვლენილი ნება აღნიშნულის საპირისპიროა. ფაქტობრივად, პირის შინაგანი და გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ ემთხვევა.<sup>79</sup>

გარიგების იძულებით დადებისას ხდება პირის სუბიექტურ ნებაზე იმგვარად ზემოქმედება, რომ მას აღარ რჩება შესაძლებლობა მისივე სუბიექტური ნება გააცხადოს. იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად, ნება მაინც გამოვლენილია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ემთხვევა პირის შინაგან ნებას, ზოგიერთ საქმეებში მხარეთა მიერ იყო იმის მტკიცების მცდელობა, რომ ასეთი გარიგება უნდა აღსრულებულიყო. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როცა პირს ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრნენ და ამგვარი მუქარით აიძულეს გამოეხატა ხელშეკრულებაზე თანხმობა. თუმცა, ასეთ შემთხვევებთან მიმართებით როგორც ქართული, ისე უცხოური კანონმდებლობა ცალსახაა და მსგავსი გზით დადებული გარიგებების არააღსრულებადობას ითვალისწინებს.<sup>80</sup>

ზეწოლის ქვეშ დადებულ ხელშეკრულებათა საქმეებში, როგორც წესი, ორი განსხვავებული საფუძველია, რომელთა საფუძველზეც უქმდება ხელშეკრულება. ცეცხლსასროლი იარაღით იძულებისას დადებული ხელშეკრულებისას, მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ხელშეკრულების აღსრულებლობას იწვევს არის ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას მისივე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით ცდილობს. ხოლო, მეორე მიზეზია ის, რომ პირი, რომელიც შემდგომში მიუთითებს ხელშეკრულების ნამდვილობას, არ არის თანახმა ხელშეკრულების დადებაზე.<sup>81</sup>

<sup>77</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

<sup>78</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 85, 1-ლი ველი.

<sup>79</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 381.

<sup>80</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

<sup>81</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

იძულება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც გარიგების მხარეზე, ისე მესამე პირზეც, რომელიც შემოფარგლულია პირის ახლობელთა წრით<sup>82</sup>, ამასთან იგი შეიძლება მომდინარეობდეს გარიგების ერთ-ერთი მხარიდან ან/ და მესამე პირისგანაც.<sup>83</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით დადებულ გარიგებას გარკვეული წინაპირობები გააჩნია. ობიექტური შემადგენლობა კი მოიცავს პირზე ძალადობის ან მუქარის განხორციელებას.

## 2. ძალადობა

იძულების საშუალებებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალადობას და მუქარას განსაზღვრავს. ძალადობის ქვეშ მოიაზრება ფიზიკური იძულება,<sup>84</sup> რომელიც ფაქტობრივად, პირზე განხორციელებული ფიზიკური ზემოქმედებაა,<sup>85</sup> რომელიც მოძალადისათვის სასურველი ნების გამოხატვისკენაა მიმართული. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში, ძალადობა გულისხმობს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომელსაც საბოლოო ჯამში პირი მიჰყავს იმ შედეგამდე, რომ თანხმობა განაცხადოს გარიგების დადებაზე.

როგორც ზემოაღნიშნულ მსჯელობაში იყო ნახსენები, გარიგების განმარტება ზოგ შემთხვევაში გაიგივებულია ნების გამოვლენასთან, შესაბამისად, იძულებით დადებული გარიგებისას აუცილებელია პირის მიერ ნების გამოვლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩება ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომ გარიგება საერთოდ არ არსებობს. კერძოდ, ხელშეკრულების მხარის ნება ისეთი იძულებით (*vis compulsiva*) არის ჩამოყალიბებული, რომელიც, ფაქტობრივად, დაძლევადია. მხარის მიერ გამოვლენილია, ნაკლიანი, ძალადობის მეშვეობით მოდრეკილი ნება.<sup>86</sup> თუმცა, პირზე ისეთი ზემოქმედებით ზეწოლა, როგორცაა თავისუფალი ნების გამტეხი<sup>87</sup> იძულება (*vis absoluta*) წარმოშობს ისეთ გარემოებას, როცა პირის მიერ გამოვლენილია არა ნაკლიანი ნება, არამედ საერთოდ არ არსებობს ნების გამოვლენა. თუ პირის ქმედება გამოწვეულია გარკვეული შიშით მაშინ იგი შეცილებად ნების გამოვლინებად ჩაითვლება.<sup>88</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხოლოდ ფსიქიკური იძულებისას ითვლება გარიგება იძულებით დადებულად

<sup>82</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლი.

<sup>83</sup> *Heinrich Dörner/HK-BGB*, 10. Aufl. 2019, § 123 Rn. 9; იმავეს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი;

<sup>84</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის № ას-132-124-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის №ას-170-163-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის №ას-1796-1773-2011 განჩინება; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 85, მე-7 ველი.

<sup>85</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>86</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 85, მე-8 ველი.

<sup>87</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 85, მე-8 ველი.

<sup>88</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandndm oregon 2006, 315-316.

და იძულებაში, სწორედ ფსიქიკური იძულება მოიაზრება.<sup>89</sup> ზოგიერთ ლიტერატურაში<sup>90</sup> ფიზიკური იძულება გაიგივებულია ნების გამტეხ<sup>91</sup> იძულებად, რომლის შედეგადაც გამოვლენილი ნება საერთოდ არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ევროპული სამართლის საკანონმდებლო მოწესრიგებებში იძულება, უმეტეს შემთხვევაში, მოაზრებულია როგორც ფსიქიკური იძულება,<sup>92</sup> რასაც შეგვიძლია მუქარაც ვუწოდოთ. მიუხედავად ამისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფი მიუთითებს ისეთ იძულებაზე, რომელიც გავლენას ახდენს პირის ნების გამოვლენაზე, შესაბამისად, ცალსახა მითითება იმის თაობაზე, რომ იძულება მხოლოდ ფსიქიკური იძულებით შემოიფარგლება, ამ შემთხვევაში არ გვხვდება. მსგავს დათქმას აკეთებს ფრანგული სამოქალაქო კოდექსიც, თუმცა საფრანგეთში, ფაქტობრივად, იძულების ფორმად ფსიქიკური იძულებაა აღიარებული. აღნიშნული მიმართებები იძულების სახეებთან დაკავშირებით, გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნის მტკიცების ტვირთის გადანაწილებისას და თავად იძულების ფაქტის მტკიცებისას სასამართლო პროცესის დროს.

ფიზიკური იძულების მაგალითების პირდაპირ განხილვისას ცალსახაა ის განსხვავებები, რაც ძალადობასა და მუქარას შორის იკვეთება და საშუალებას იძულება ძალადობა იძულების ერთ-ერთ საშუალებად იქნას მიჩნეული. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ პირი ცემის მსხვერპლი გახდა და აღნიშნულის მიზეზი ის იყო, რომ მას ხელი უნდა მოეწერა გარიგებაზე, ხოლო ცემის შემდეგ პირმა მართლაც მოაწერა ხელი გარიგებას, ცხადყოფს, რომ გარიგება დადებულია ფიზიკური იძულების საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, უკვე რეალიზებულია საფრთხე, რაც წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომ პირის ნება ითრგუნება და იგი იძულებულია ხელი მოაწეროს და დათანხმდეს გარიგების დადებას. შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ პირის მიერ ნების მოდრეკა გამოწვეულია მოძალადის მხრიდან იმავე ქმედების გამეორების შიშით, რაც ფაქტობრივად, მუქარის შემადგენლობას წარმოადგენს. თუმცა, სასამართლო დავის წარმოებისას საკითხავია, რამდენად დამტკიცებადია, რომ პირის ნების მოდრეკა გამოიწვია სწორედ სამომავლო საფრთხის შიშმა ისეთი გარემოების არსებობისას, როცა მოპასუხე შეიძლება მიუთითებდეს, რომ პირზე ფიზიკური ძალადობისას მინიშნებაც კი არ ყოფილა სამომავლო საფრთხეზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება დადგეს იძულებისა და ნების გამოხატვას შორის მიზეზშედეგობრიობის დადგენის პრობლემა.

<sup>89</sup> Müko/Armbrüster, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 108.

<sup>90</sup> Wendtland, in Beck OK BGB, 50. Aufl., 2019, § 123 Rn. 25.

<sup>91</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 85, მე-8 ველი.

<sup>92</sup> Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portlandnm Oregon, 2002, 434.

## 2.1. ძალადობის ხასიათი

ძალადობა, როგორც ზემოთ აღინიშნა ფიზიკური იძულების სახეა. ქართულ ლიტერატურაში<sup>93</sup> განვითარებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფიზიკური ძალადობა იძულების საშუალებაა, ისეთ შემთხვევებშიც, როცა იგი პირდაპირი გაგებით პირის სხეულზე ფიზიკური ზემოქმედებით არ შემოიფარგლება. მაგალითად, პირის თავისუფლების აღკვეთა მანამ სანამ იგი გარიგებაზე თანხმობას არ განაცხადებს, ძალადობის სახით იძულებად არის განხილული. მიუხედავად განსხვავებული მიდგომისა,<sup>94</sup> ლიტერატურაში ზემოაღნიშნული მაგალითი განხილულია, როგორც ფიზიკური ძალადობა, რა დროსაც იძულება პირს არ უტოვებს არჩევანს გარიგებაზე თანხმობის გაცხადების თაობაზე.<sup>95</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ძალადობაში ექცევა ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, დემონსტრაციის მონაწილეები თავს მიიჯაჭვებენ მშენებლობის საძირკველში ჩაშენებულ ბოძებზე და ამგვარად აიძულებენ მშენებელს უარი თქვას სამუშაოების გაგრძელებაზე.<sup>96</sup> თუმცა მსგავს შემთხვევებს გერმანული და ფრანგული სამართალი არ აერთიანებს იძულების ქვეშ. ზოგიერთი წყაროს თანახმად, იძულებით დადებული გარიგებათა საქმეები არც თუ ისე ბევრია პრაქტიკაში და უმეტეს შემთხვევაში ისეთ შინაარსს ატარებს როგორცაა „ან ფული ან სული“, რაც, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის რეგულირების საგანია.<sup>97</sup> შესაბამისად ზემოაღნიშნული მაგალითის მსგავსად მრავალი საქმე სწორედ სისხლისსამართლებრივად წესრიგდება. ისეთი შემთხვევებიც, როცა გარიგებაზე ხელის მოწერის მოთხოვნით პირს, მაგალითად, ფეხებით ჩამოკიდებენ, მნიშვნელოვანი სხეულებრივი ზემოქმედებაა და იძულებად ითვლება.<sup>98</sup>

## 2.2. მართლწინააღმდეგობა

რაც შეეხება ძალადობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ცხადია, შემთხვევათა უმეტესობა თავისივე შინაარსით მართლსაწინააღმდეგოა. ვინაიდან, ძალადობა, როგორც ფიზიკური იძულების საშუალება მართლსაწინააღმდეგოა<sup>99</sup> და ასეთ შემთხვევებს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს.<sup>100</sup> პირზე ძალადობისას, ფაქტობრივად, შეუძლებელია ისეთი გარემოების მოძიება,

<sup>93</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 85, მე-8 ველი.

<sup>94</sup> ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ფიზიკური ძალადობა იძულების სახედ არ განიხილება, რადგან ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით ასეთი იძულებისას საერთოდ არ არსებობს ნების გამოვლენა.

<sup>95</sup> *Markesinis/Unberth/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandndm oregon 2006, 315.

<sup>96</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 86, მე-2 ველი.

<sup>97</sup> *M.H. Ogilvie*, DOING “PRACTICAL JUSTICE” FOR DURESS IN CONTRACT LAW, *Alberta law review*, 2009, 253-256, 1.

<sup>98</sup> *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019, 49.

<sup>99</sup> *Orit Gan*, Contractual Duress and Relations of Power, 36 *HARV. J.L. & GENDER* 171 (2013), 177.

<sup>100</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 181-ე მუხლები.

რომლითაც გამართლებული იქნებოდა მოძალადის მიერ განხორციელებული ქმედება, მიუხედავად იმისა შელახულია თუ არა მოძალადისვე ინტერესები დაზარალებულის მხრიდან გარიგებაზე უარის თქმით.<sup>101</sup> ისეთ შემთხვევაშიც, თუ გარიგების დაუდებლობა ზიანის მიმყენებელია პირისათვის და აღნიშნული გარემოება გამოწვეულია მეორე მხარის განზრახვით, პირის მიერ მეორე მხარის მიმართ განხორციელებული ძალადობა, რათა მან მოაწეროს ხელი გარიგებას, არამართლზომიერი იქნება.

განსახილველია უკიდურესი აუცილებლობის ეპიზოდები, რომლებიც შესაძლებელია პრაქტიკაში შეგვხვდეს. მაგალითად, თუ შვილის გადასარჩენად პირი გზაზე მიმავალ ავტომანქანას გააჩერებს და ცემის დამუქრებით აიძულებს გადასცეს მას მანქანა, ასეთი შემთხვევა შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს უკიდურეს აუცილებლობად. თუმცა ისეთ შემთხვევაში, თუ ასეთი იძულება განხორციელდებოდა პირდაპირ ცემით, შეუძლებელი იქნება მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა. შესაბამისად, ძალადობისა და მუქარის შემთხვევებში სხვადასხვაგვარად გადაწყდებოდა მართლწინააღმდეგობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ იძულება არ მოიცავს მესამე პირზე ძალადობას, ვინაიდან, ძალადობა პირზე გარკვეული ფიზიკური ზეწოლაა, მესამე პირზე მიმართული ფიზიკური ზეწოლა მხოლოდ ფსიქიკურ წნეხს შეიძლება იწვევდეს იძულებულ პირში. შესაბამისად, მესამე პირზე მიმართული იძულება ყოველთვის მუქარის მეშვეობით ხორციელდება.<sup>102</sup>

### 3. მუქარა

მუქარა იძულებული პირის მიმართ მიმართული შეტყობინება ან გაფრთხილებაა იმ სამომავლო საფრთხის თაობაზე, რომელიც აღსრულებული იქნება თუ პირი იმას არ შეასრულებს, რაც დამმუქრებელს სურს. კერძოდ, მუქარით დამმუქრებელი პირს დაიყოლიებს სასურველი გარიგების დადებაზე.<sup>103</sup>

იგი ნების გამოვლენის ერთ-ერთი „მანკია“,<sup>104</sup> რომელიც საბოლოოდ გარიგების ბათილობას იწვევს. გარიგების დადებისას მნიშვნელოვანია განსხვავება რეალურ საფრთხესა და გაფრთხილებას შორის. კერძოდ, მუქარის გამიჯვნა ეწ გაფრთხილებისაგან, ვინაიდან, შესაძლებელია პირი გარიგების არ დადების შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს არც თუ სახარბიელო გზით აღუწერდეს მეორე მხარეს და ამით ცდილობდეს მის დაყოლიებას გარკვეულ ქმედებათა განხორციელებაზე.

<sup>101</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 88, მე-15 ველი.

<sup>102</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 87, მე-2 ველი.

<sup>103</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 85, მე-13 ველი.

<sup>104</sup> *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 114.

გაფრთხილებაც იმის წინასწარმეტყველებაც, რომ არასასურველი შედეგი დადგება კონკრეტული მოქმედებების არ შესრულების და გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.<sup>105</sup> თუმცა ისეთი, შემთხვევა, როცა პირი მოვალეს აფრთხილებს, რომ იგი სასამართლოში შეიტანს სარჩელს, თუ ვალს არ დაუბრუნებს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთ მუქარად, რომელიც გარიგების ბათილობის საფუძველია.<sup>106</sup> შესაბამისად, მხარის მიერ ისეთი განცხადებების გაკეთება მეორე მხარის მიმართ, რომელიც მხოლოდ უწინასწარმეტყველებს არასასურველი შედეგების თაობაზე, არ უნდა იყოს გაგებული მუქარად და ასეთი ქმედების შედეგად განხორციელებული მოქმედებები - დადებული გარიგებები ნამდვილია.

ყოველი მოქმედება, რომელიც პირის თავისუფალ ნებას ზღუდავს ან სხვაგვარ არასასურველ ზემოქმედებას ახდენს მასზე, შეიძლება დაკვალიფიცირდეს არამართებულად, მანამ სანამ აღნიშნული შეზღუდვა მეტად მცირეოდენი არ იქნება. მაგალითად, ბანკის გაფრთხილება იმასთან დაკავშირებით, რომ გააუქმებს საკრედიტო ხაზს თუ სასესხო უსაფრთხოება არ იქნება დაცული და უზრუნველყოფილი, შესაძლოა კომპანიის დირექტორის თავლსაზრისით მუქარას წარმოადგენდეს, თუმცა აღნიშნული „მუქარა“ ლეგიტიმურია. შესაბამისად, მხარისათვის მიუღებელი მუქარა, თუმცა მცირე გაფრთხილება მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, ვერ ჩაითვლება იძულებად.<sup>107</sup>

ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ მუქარა იყოს სერიოზული, მთავარია, რომ დამუქრებული პირი მას იღებდეს, როგორც სერიოზულ მუქარას<sup>108</sup> და რეალურ საფრთხეს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მუქარა რეალურად განხორციელებული ქმედებაა, რომელიც იწვევს მხარის ნების დათრგუნვას, შესაბამისად, პირის მოლოდინი იმის თაობაზე, რომ თუ იგი არ განახორციელებს მეორე მხარისათვის სასურველ ქმედებას მის მიმართ განხორციელებული იქნება იძულება და მისი ქმედება არ არის გამოწვეული მეორე მხარის მიერ რეალურად გაცხადებული მუქარით, საკმარისი არ არის, რომ გარიგება მიჩნეულ იქნას იძულებით დადებულად და აღნიშნული გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი.<sup>109</sup> ინგლისური სამართალი იძულების შემთხვევაში, ყურადღებას ამახვილებს იმაზე თუ რა საფრთხის შექმნა დამუქრებული მუქარის განხორციელებისას.<sup>110</sup>

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია პირთა დამოკიდებულება მუქარის მიმართ. ერთი მხრივ, კონკრეტული მუქარა შესაძლებელია გარკვეული

<sup>105</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 4.

<sup>106</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 382.

<sup>107</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandndm oregon 2006, 315-316.

<sup>108</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, § 123 Rn. 26.

<sup>109</sup> Palandt/Ellenberger marginal note 16. *ob. ციტატა: Wendtland*, in Beck OK BGB, 50. Aufl. 2019, § 123 Rn. 26.

<sup>110</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandndm oregon 2006, 316.

ტიპის პირებმა არ აღიქვან რეალურ საფრთხედ, თუმცა გარკვეულმა ნაწილმა შესაძლებელია იგი რეალურ საფრთხედ აღიქვან და თანხმობა განაცხადონ გარიგების დადებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მუქარის სიმძიმისა და მისი ადრესატის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა ობიექტურ საზღვრებში, დადგინდეს გამოვლენილ ნებაზე მუქარის ზემოქმედება.

მუქარისას პირი შესაძლებელია პირდაპირ მიუთითებდეს გარიგების დადების თაობაზე და ამავდროულად უსახავდეს იმ რეალურ საფრთხეს, რაც მას შეემთხვევა გარიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ნების ფორმირებასთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ მუქარის შემთხვევაში სახეზეა „ნების გამოვლენა“, რომელიც შესაძლებელია სამართლებრივად სწორი ფორმით იქნას გამოვლენილი. თუმცა, ნების, როგორც სუბიექტური განცდისა და დამოკიდებულების უხეში მოდრეკით იგი კარგავს სამართლებრივად „ვარგისობის“ უნარს.

მუქარასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ იგი შესაძლებელია განხორციელებული იქნას თავად პირზე, მესამე პირზე ან პირის ქონებაზე. „ეკონომიკურ იძულებას“ ვხვდებით უცხოურ სამართალში. პრაქტიკულად, ინგლისური სასამართლოების საქმეთა 25 წლიან პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთ შემთხვევებში, როცა პირი ემუქრება სხვა პირს ან თუნდაც მის ქონებას.<sup>111</sup> თუმცა, გერმანული სამოქალაქო სამართალი ამგვარად არ აკლასიფიცირებს მუქარის სახეებს და ეკონომიკური იძულება, როგორც მევახშეობა გერმანული სამოქალაქო კოდექსით ცალკეა მოწესრიგებული. ამასთან, კონტინენტური ევროპის სამართალში გამოიყენება მუქარისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოყენება. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული „მევახშეობის“ შემთხვევები მიჩნეულია, როგორც გავლენის ბოროტად გამოყენება და გერმანულ სამოქალაქო კოდექსშივე ცალკეა მოწესრიგებული.<sup>112</sup> ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ ეკონომიკური იძულება არ შემოიფარგლება ისეთი სიტუაციებით, როცა გარიგების ერთ მხარეზე განხორციელებულია საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული მუქარა, თუმცა მან უარი განაცხადა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.<sup>113</sup>

მუქარა სამომავლო საფრთხის თაობაზე წინასწარმეტყველებაა პირისათვის და ამ საფრთხეში შეიძლება იგულისხმებოდეს ნებისმიერი უარყოფითი, მატერიალური ან არამატერიალური საფრთხეები. პრაქტიკულად, საფრთხის სიმძიმე არ არის რელევანტური, მთავარია იგი რეალურად იყოს აღქმული მხარის მიერ და არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი მუქარასა და გამოვლენილ ნებას შორის.

<sup>111</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 1.

<sup>112</sup> ცვაიგერტი/კოტი, შედარებითსამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 115.

<sup>113</sup> *England/Rafferty*, Contractual Variations: Consideration and duress, Osgoode Hall Law Journal 18.4 (1980): 627-638, 634.

ამასთან, მუქარა შესაძლებელია მიმართული იყოს თავად იძულებული პირის მიმართ ან სხვა პირის მიმართაც, რომელიც წარმოადგენს იძულებულის ახლობელს.<sup>114</sup>

### 3.1. მუქარის ხასიათი

პირის მიერ ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც შესაძლებელია მუქარად დაკვალიფიცირდეს, მნიშვნელოვანია, რომ ყოველგვარი საფრთხის წინასწარმეტყველება არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ მუქარად, რომელიც შეცილებისა და საბოლოოდ გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუქარად არ მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როცა პირი მხოლოდ ვარაუდობს რომ მას საფრთხე დაემუქრება თუ მეორე მხარისათვის „მოსაწონ“ ქმედებას არ განახორციელებს. მუქარა თავის თავში მოიაზრებს სამომავლო არასასურველი მოვლენების განვითარების თაობაზე გაფრთხილებას. საკითხავია, რა ეტაპზე უნდა ჩაითვალოს ასეთი გაფრთხილება მუქარად და ასეთ შემთხვევაში რა ტიპის „არასასურველი მოვლენების“ მუქარა ჩაითვლება გარიგების ბათილობის წინაპირობად.<sup>115</sup>

ზოგ შემთხვევაში, დამმუქრებლის თვალსაზრისით, ხელშეკრულების გაწყვეტის თაობაზე გაფრთხილებას და მუქარას იმავე გარემოების თაობაზე, ერთიდაიგივე ეფექტი აქვს. თუმცა ისეთ შემთხვევებში, როცა გაფრთხილებისას „არასასურველი მოვლენა“ არამართლზომიერია, გაფრთხილება მიჩნეულ უნდა იქნეს არამართლზომიერ მუქარად.

ამასთან, მუქარა განსხვავებული უნდა იყოს მოთხოვნისაგან და შეთავაზებისაგან.<sup>116</sup> ისეთ შემთხვევაში, როცა პირის მოვალე არ აბრუნებს თანხას, და იგი აღნიშნულ მოთხოვნას წაუყენებს მეორე მხარეს გარკვეული სახის გაფრთხილებასთან ერთად, აღნიშნული არ უნდა იყოს გაგებული მუქარად. რაც შეეხება შეთავაზებას, ისეთ შემთხვევაში თუ პირი სთავაზობს ვინმეს ახალ მანქანას იმ შემთხვევაში თუ ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მიიღებს ავტომანქანას, აღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ შეთავაზებაა და მუქარად განხილვის საკითხი არ დგას.<sup>117</sup>

მუქარა მოსალოდნელ საფრთხეზე მითითებაა და შესაბამისად იგი უნდა ხორციელდებოდეს მანამ სანამ გარიგება დაიდება. თუმცა მხოლოდ მოვლენათა ამგვარ თანმიმდევრობაზე აქცენტის გაკეთება არამართებულია. პრაქტიკაში არის

<sup>114</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, § 123 Rn. 27.

<sup>115</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 5.

<sup>116</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 6.

<sup>117</sup> *Stephen A. Smith*, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373, 7.

შემთხვევები, როცა, ბრალდებულთან გარიგების დადებამდეა გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, რის გამოც სასამართლო გამორიცხავს მუქარის ელემენტს.<sup>118</sup> თუმცა საპროცესო შეთანხმების დადების შემდგომაც არსებობს მისი გაუქმების, ანდაც ბრალდებულზე სხვაგვარი იძულების განხორციელების შესაძლებლობა.<sup>119</sup> მსგავს პრაქტიკულ შემთხვევებში სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ერთობლიობაში უნდა შეაფასოს და არა მარტოდენ ფორმალური ქრონოლოგიური მხარე.

მუქარად უნდა იქნეს განხილული მოსალოდნელი საფრთხის რეალურობა, თუმცა გათვალისწინებული უნდა იქნას იძულებულის სუბიექტური დამოკიდებულებაც. იმაზე მითითება, რომ მხარეს მისი თანამდებობა არ აძლევდა უფლებამოსილებას სისრულეში მოეყვანა მის მიერ განხორციელებული მუქარა არამართებულია.<sup>120</sup> ვინაიდან, გადამწვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა მაიძულებელ პირს მის მიერვე დამუქრებული საფრთხის განხორციელების უფლება.<sup>121</sup> თუმცა, აღნიშნული არ ათავისუფლებს მოსარჩელეს იმ მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისგან, რომელიც დაადასტურებს მის მიმართ იძულების განხორციელების ფაქტს და დამუქრებლის მხრიდან გარკვეული ბერკეტების არსებობასაც პირის სამომავლო საფრთხეებთან მიმართებით. ამასთან, არ შეიძლება მუქარად მიჩნეულ იქნას უკვე არსებული და რეალიზებული საფრთხის შესახებ შეტყობინება, რომელსაც არ შეუძლია, ფაქტობრივად, იქონიოს გავლენა იძულებული პირის ნების გამოვლენაზე.<sup>122</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, ისეთი მუქარა, რომელიც ცალსახად არარეალურია არ მიიღება მხედველობაში. თუმცა, ვინაიდან, მუქარის ეფექტი პირის ნების დათრგუნვის ხარისხის სუბიექტური კატეგორიის შეფასების საკითხია, რთულია პრაქტიკულად განისაზღვროს რეალური და არარეალური მუქარა.<sup>123</sup> მიუხედავად ამისა, წინასწარმეტყველება პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის თაობაზე საკმარისი უნდა იყოს პირის სუბიექტური ნების მოდრეკისა და იძულებით მდგომარეობაში აღმოჩენისათვის.<sup>124</sup>

გერმანულ სამართალში განვითარებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, მუქარის შემთხვევები სწორედ პირის სუბიექტური დამოკიდებულების შესაბამისად ფასდება და გადამწვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება მასზე განხორციელებული მუქარის სერიოზულობას.<sup>125</sup>

<sup>118</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის № 2ბ/4686-13 გადაწყვეტილება.

<sup>119</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 86, მე-6 ველი.

<sup>120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება, 1.3.10.

<sup>121</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 88, მე-4 ველი.

<sup>122</sup> *Mansell/Jauernig*, BGB, 17. Aufl. 2018, § 123 Rn. 12.

<sup>123</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 86, მე-11 ველი.

<sup>124</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 350.

<sup>125</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl. 2019, § 123 Rn. 26.

თუმცა საფრანგეთისა და იტალიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოწესრიგება ზემოაღნიშნულ მიმართებას სრულად არ იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსიდან თითქმის იდენტურად არის გადმოტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის შინაარსი, საფრანგეთსა და იტალიაში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შეფასების ისეთ კრიტერიუმს, რომელიც ობიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებასაც გულისხმობს. მუქარისას განხორციელებული ზეწოლის მოქმედების შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთ გავლენას, რომელიც შეიძლება იძულების საშუალებით განხორციელდეს „გონიერ პირზე“.<sup>126</sup>

### 3.2. მართლსაწინააღმდეგობა

მუქარის მართლსაწინააღმდეგობის საკითხი მნიშვნელოვანია იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე მსჯელობისას. შეფასებას ექვემდებარება როგორც მუქარის მართლზომიერების, ისე მიზნისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხები. ისეთ შემთხვევებში, როცა მაიძულებლის მიერ განხორციელებულია მართლზომიერი მუქარა მართლზომიერი მიზნის მისაღწევად პირს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს დადებული გარიგების ბათილობა.<sup>127</sup> თუმცა აქ შესაფასებელია მიზნისა და მუქარის ურთიერთმიმართებაც. ტრადიციულ თეორიებში იძულების საშუალებად ხშირად მოიაზრებოდა აუცილებლად მართლსაწინააღმდეგო საფრთხის მუქარა, მაგალითად, ფიზიკური ძალადობის, დაშავების ან ქონების განადგურების თაობაზე. თუმცა თანამედროვე თეორიების თანახმად, დამუქრებული საფრთხის მართლსაწინააღმდეგო აღარ არის აუცილებელი მოთხოვნა.<sup>128</sup>

კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენია ის გარემოება, ხომ არ არის იძულება თავისთავადვე მართლსაწინააღმდეგო, ასევე დასადგენია ხომ არ იქმნება მათი კომბინაციით არამართლზომიერი იძულება თუ მიზანი და მუქარა თავისთავად არ არიან მართლსაწინააღმდეგო ხასიათის.<sup>129</sup>

მართლსაწინააღმდეგობა სამ შემთხვევაში არსებობს. ერთ შემთხვევაში, როცა მუქარა, როგორც იძულების განხორციელების საშუალება მართლსაწინააღმდეგოა. მეორე შემთხვევაში მიზანი, ანუ გარიგების დადება, როგორც შემდგომი სამართლებრივი შედეგის განმახორციელებელი აქტი, მართლსაწინააღმდეგოა. ხოლო მესამე, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ ურთიერთდამოკიდებულებას უკავშირდება. მიუხედავად ორივე ზემოაღნიშნული კომპონენტის მართლზომიერებისა მათი

<sup>126</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 351.

<sup>127</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, [civilcode.ge](http://civilcode.ge), მუხ. 88, მე-2 ველი.

<sup>128</sup> *Orit Gan*, Contractual Duress and Relations of Power, 36 HARV. J.L. & GENDER 171 (2013), 178.

<sup>129</sup> *Müko/Armbüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 115.

ურთიერთმიმართება შესაძლებელია ქმნიდეს მართლსაწინააღმდეგო იძულების შემადგენლობას.<sup>130</sup>

გერმანულ სამართალში იძულების მართლწინააღმდეგობა ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა. მუქარის, როგორც იძულების განხორციელების საშუალების მართლწინააღმდეგობა მისივე შინაარსიდან უნდა დადგინდეს. მაგალითად, სასამართლოში ჩივილით დამუქრება მოვალეზე, ადეკვატური მუქარის ტიპს მიეკუთვნება და მხარის მიერ თავისივე მოთხოვნის რეალიზების საშუალებას წარმოადგენს.<sup>131</sup> თუმცა, როცა კრედიტორი მოვალეს, მაგალითად, ძალადობის რომელიმე სახით დაემუქრება, აღნიშნული უკვე დაკვალიფიცირდება მართლსაწინააღმდეგო მუქარად.<sup>132</sup> ყველაზე ცხადი მაგალითია, სიცოცხლის მოსპობით დამუქრება, როცა დირექტორი ემუქრება გენერალურ დირექტორს სიკვდილით თუ იგი არ განახორციელებს გარკვეულ ქმედებებს.<sup>133</sup>

ზემოაღნიშნულთან ერთად, სამართლებრივად გამართლებული იქნება ისეთ მუქარაც, როცა იგი მოიცავს სარჩელის აღძვრას მეორე მხარის წინააღმდეგ, ანდაც პროკურატურისათვის/პოლიციისათვის მიმართვას,<sup>134</sup> თუმცა ასეთი მუქარა უნდა გამომდინარეობდეს მხარეთა შორის მანამდე არსებული ურთიერთობიდან, მაგალითად, მათ შორის უნდა არსებობდეს კრედიტორული ვალდებულება, რომლის მოთხოვნის რეალიზების მიზნითაცაა განხორციელებული მუქარა. თუმცა, გასათვალისწინებელია, ზემოაღნიშნული მოთხოვნა რეალურად ეკუთვნის თუ არა მაიძულებელ პირს.<sup>135</sup> მაგალითად, შემთხვევებში, როცა დადებული იყო ჩუქების ხელშეკრულება პირსა და სახელმწიფოს შორის, სასამართლო ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რამდენად იყო პირის მიერ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის მოთხოვნა, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის, მართლზომიერი უფლება.<sup>136</sup>

მართლწინააღმდეგობის დადგენა გარკვეულწილად დაკავშირებულია პირთა ინტერესებზე. მაგალითისათვის, თუ პირი, რომელიც დაშავდა მეორე პირის კრიმინალური ქმედების შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუქარით აიძულებს მას კომპენსაციის გადახდას დაშავებისათვის, აღნიშნული არ არის მართლსაწინააღმდეგო იძულება. ისეთ შემთხვევაში კი, როცა პირი აიძულებს მეორე მხარეს მისი ვალის გადახდას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების

<sup>130</sup> *Mansel/Jauernig*, BGB, 17. Aufl. 2018, § 123 Rn. 12-15.

<sup>131</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandnm oregon 2006, 317.

<sup>132</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 88, მე-2 ველი.

<sup>133</sup> *Barton v Armstrong*, 1976, AC 104.

<sup>134</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlandnm oregon 2006, 317.

<sup>135</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 88, მე-4 ველი.

<sup>136</sup> მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება, 7.

მუქართ, რომელიც არ უკავშირდება მეორე მხარის მიერ განხორციელებულ კრიმინალურ ქმედებებს, ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო იძულებად.<sup>137</sup>

იძულების მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს მიზანს, რომლის მიღწევაც არის განხორციელებული იძულების მეშვეობით.<sup>138</sup> ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზანიც თავისი შინაარსით მართლსაწინააღმდეგოა სახეზეა გარიგების ბათილობის სხვა საფუძვლები. მაგალითად, იძულების შედეგად დადებული გარიგების მართლწინააღმდეგობისას იგი ბათილად იქნება ცნობილი როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ვარიანტის მიხედვით,<sup>139</sup> ხოლო გერმანულ სამართალში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 134-ე ან 138-ე პარაგრაფების საფუძველზე.<sup>140</sup> იძულების შესახებ დოქტრინა მიუთითებს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ იძულება პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების წინააღმდეგ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუმცა იძულება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო თუ იგი დიდწილად დამოკიდებულია იძულებისავე შედეგზე, მისი შინაარსის გათვალისწინებით.<sup>141</sup> თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა ასეთი გარიგებების ბათილად ცნობა სხვა საკანონმდებლო ნორმების საფუძველზეცაა შესაძლებელი.

შედარებით რთულ საკითხს წარმოადგენს იძულების მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევა საშუალებისა და მიზნის ურთიერთმიმართების გათვალისწინებით. აღნიშნული შემთხვევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია იძულება მიჩნეულ იქნას მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ საშუალებაც და მიზანიც მართლზომიერია.<sup>142</sup> არსებობს ამ ორ კომპონენტთა ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, როცა საბოლოოდ სახეზე არამართლზომიერება, მართლსაწინააღმდეგობა რჩება. კერძოდ, ისეთი მართლზომიერი მიზნის მიღწევა, ისეთი მართლზომიერი საშუალებით, რომლის გამოყენება დაუშვებელია. ურთიერთდამოკიდებულების შეფასებისათვის არ არსებობს დადგენილი სტანდარტი, თუმცა იგი უნდა შეფასდეს სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპითაც. მნიშვნელოვანია, რამდენად ადეკვატური და მორალურად გამართლებულია საშუალებისა და მიზნის ურთიერთმიმართება.<sup>143</sup> მაგალითად, გერმანიაში ასეთ პრაქტიკულ საქმეებთან მიმართებით გამოიყენება შემდეგი ფორმულა, „მართლზომიერი საშუალების მართლზომიერი მიზნის მისაღწევად გამოყენება არ

<sup>137</sup> *Beale/Kötz/Hartkump/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portladndm Oregon, 2002, 443.

<sup>138</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portladndm oregon 2006, 317.

<sup>139</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 88, მე-5 ველი.

<sup>140</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 118.

<sup>141</sup> *Beale/Kötz/Hartkump/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portladndm Oregon, 2002, 443.; (Lord Atkin in *Thorne v. Molur Trade Assucialion* [1937] A.C. 297, 806).

<sup>142</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 88, მე-6 ველი.

<sup>143</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 119; *Manse// Jauernig*, BGB, 17. Aufl. 2018, § 123 Rn. 15;

უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ჯანსაღად და სამართლიანად მოაზროვნე წევრების წარმოდგენებს ან ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, რის დადგენაც უნდა მოხდეს ყოველი ცალკეული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით“.<sup>144</sup>

პრაქტიკულად პრობლემური საკითხია ასეთი ურთიერთმიმართებებისას გამიჯვნა მართლსაწინააღმდეგო და არამართლსაწინააღმდეგო ძალადობისა. პრობლემა დგება რეალური საქმეების არსებობისას სასამართლო დავის ეტაპზე. რა დროსაც, მაგალითად, პირს ემუქრებიან სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემით თუ გარიგებას არ დათანხმდება, თუმცა პირის მიერ მართლაცაა ჩადენილი რაიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაული. ასეთ შემთხვევებში შესაფასებელია დამმუქრებელი პირის სტატუსი, მუქარის ხასიათი და დასადები გარიგებისა და ზემოაღნიშნული სახით განხორციელებული მუქარის ურთიერთმიმართება.

მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი შემთხვევით შეესწრო მისი მოვალის მიერ განხორციელებულ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომლითაც სხვა პირს ზიანი მიადგა და აღნიშნულის სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების მუქარით აიძულებს მოვალეს ვალის დაბრუნებას, შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგო იძულებად.<sup>145</sup> თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ის ვითარება, რომელშიც განხორციელდა იძულება. ვალის დაბრუნების მოთხოვნა კრედიტორისათვის სამართლებრივად მინიჭებული მოთხოვნის უფლებაა. მაგრამ, პრაქტიკული პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნის რეალიზება ზემოაღნიშნული საშუალებით მორალურად გაუმართლებელია. ასეთივე ხასიათს შეიძლება ატარებდეს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული იძულებაც, მაგალითად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე პირმა ეკონომიკური ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, პროკურორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მოთხოვნა უძრავი ან მოძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მორალურად გაუმართლებელი იქნება, თუ აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში იგი არ გაუფორმებს ბრალდებულს საპროცესო შეთანხმებას,<sup>146</sup> რომლის გაფორმების უფლებამოსილებაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გააჩნია.

მართლსაწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევაც, როცა დირექტორის არამართლზომიერი ქმედების თაობაზე შემთხვევით შეიტყობს კომპანიაში მომუშავე პირი და აღნიშნული გარემოების შესაბამისი ორგანოებისათვის შეტყობინების მუქარით აიძულებს მას დაწინაურებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო იძულების დადგენისას მნიშვნელოვანია შეფასდეს იძულების საშუალებისა და მიზნის ხასიათი და მათი

<sup>144</sup> BGH NJW 1957, 1797. იხ. ციტატა: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 88, მე-6 ველი.

<sup>145</sup> Müko/*Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 120.

<sup>146</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 88, მე-6 ველი.

ურთიერთდამოკიდებულება. ხოლო, ისეთ შემთხვევაში, როცა ქმედება სათანადო საშუალებაა მხარის გამართლებული ინტერესის რეალიზაციისათვის, გარიგების ხასიათი აღარ იძლევა შეცილების უფლებას.<sup>147</sup>

#### 4. მიზეზშედეგობრიობა იძულებასა და ნების გამოხატვას შორის

მიზეზშედეგობრივ კავშირს იძულებასა და ნების გამოხატვას შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს გარიგების შეცილების და ბათილად ცნობისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება ვერ ჩაითვლება იძულებით დადებულად და არ იქნება შეცილებადი. უნდა დადასტურდეს ის გარემოება, რომ მაიძულებლის განხორციელებული ქმედების შედეგად მოხდა ნების გამოხატვა და სწორედ მაიძულებლის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ აიძულა პირი ნება გამოევილინა იმგვარად, რომ თანხმობა განეცხადებინა გარიგებაზე.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, როცა დირექტორმა სიკვდილის მუქარით აიძულა გენერალური დირექტორი, რომ განეხორციელებინა გარკვეული ბიზნეს ტრანზაქციები და მოქმედებები, გარიგების შეცილებისას სასამართლომ იძულებული პირისაგან მოითხოვა იმის დადასტურება, რომ იძულების ფაქტის გარეშე იგი არ აპირებდა მსგავსი მოქმედებების განხორციელებას და შეცილებული გარიგებები დადებული იყო სწორედ დირექტორის მიერ განხორციელებული მუქარის საფუძველზე.<sup>148</sup>

იძულების გამოწვევა სწორედ ისაა, რომ იძულებული პირის ნება ჩამოყალიბებული უნდა იყოს მაიძულებელი ფაქტის შედეგად.<sup>149</sup> მართალია, იძულებით დადებული გარიგების არსით გამოვლენილი ნება არ ემთხვევა პირის სუბიექტურ ნებას, თუმცა მისი გამოვლენის ნება უნდა მომდინარეობდეს იძულებისაგან.

მიზეზშედეგობრიობის დადგენისას მნიშვნელოვანია სუბიექტური ფაქტორის შეფასება, კერძოდ რამდენად მოახდინა გავლენა მუქარამ პირზე. აუცილებელი მიზეზშედეგობრივი კავშირი გამორიცხულია მაშინ, თუ მუქარის განხორციელების შემდგომ პირმა გამოავლინა ნება, თუმცა იგი ეფუძნებოდა გამომხატველის საკუთარ გადაწყვეტილებას<sup>150</sup> ისეთ შემთხვევაშიც, როცა იგი გარკვეულწილად იძულებული იყო აღნიშნული ქმედება განეხორციელებინა.<sup>151</sup>

მიზეზშედეგობრიობის პრობლემა არ არის ძალიან ხშირი, ისეთ შემთხვევებში, როცა იძულება სერიოზული და გარდაუვალი ხასიათისაა, მხოლოდ იშვიათ გამონაკლის

<sup>147</sup> *კროვჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 49, 12.

<sup>148</sup> *Barton v Armstrong*, 1976, AC 104.

<sup>149</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 124; *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portlandndm Oregon, 2002, 449. (BGHZ, 2.287).

<sup>150</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 86, მე-17 ველი.

<sup>151</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 123 Rn. 125.

საქმეებშია ისეთი გარემოება, როცა აღნიშნული ბუნების იძულება არ არის იძულებულის მიერ ხელშეკრულების დადების საფუძველი.<sup>152</sup>

ფრანგულ სახელმძღვანელოებში მიზეზშედეგობრიობის პრობლემაზე მსჯელობა განცალკევებულად არც არის გამოყოფილი, იგი განხილულია იძულების სერიოზულობის საკითხთან ერთად და მითითებულია, რომ იძულება იმდენად სერიოზული უნდა იყოს, რომ პირი აიძულოს განაცხადოს თანხმობა. ამისგან განსხვავებით გერმანულ სახელმძღვანელოებში განცალკევებითაა განხილული მიზეზშედეგობრივი კავშირი იძულებასა და ნების გამოხატვას შორის. ხოლო გერმანული სასამართლოები აღნიშნულ შემთხვევაში სუბიექტური ტესტით ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როცა დედა ქალიშვილს ემუქრება სახლიდან გაგდებით, თუ არ გააშვილებს მის უკანონო შვილს სასამართლომ გარიგების შეცილებისას შეაფასა ის გარემოება, რომ იძულებული პირის მიერ გარიგებაზე ხელის მოწერა არ იყო გამოწვეული დედის იძულებით, ამასთან სასამართლომ მხედველობაში მიიღო იძულებული პირის ასაკი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ასევე ის დრო, რომელიც მას მიეცა გარიგებაზე თანხმობის ან უარყოფის გაცხადებისათვის.<sup>153</sup> მსგავსი განმარტებები გააკეთა სასამართლომ ინგლისში ერთ-ერთი საქმის<sup>154</sup> განხილვისას, როცა მიუთითა, რომ იძულება უნდა იყოს ერთადერთი მიზეზი გარიგების დადებისა.<sup>155</sup>

## 5. შეცილების ვადა

იძულებით დადებული გარიგება, როგორც ზემოთ აღინიშნა საცილო გარიგების სახეა, შესაბამისად იგი ვერ იქნება ბათილად მიჩნეული თუ მხარემ არ გამოიყენა შეცილების უფლება. როგორც სხვა საცილო გარიგებების, ისე განსახილველ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილია პირის მიერ განსახორციელებელი შეცილების ვადაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ერთ წელს მას შემდეგ, რაც დამთავრდება იძულების მომენტი.<sup>156</sup> აღნიშნულ დათქმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში.

პრობლემური და მნიშვნელოვანია ვადის ათვლის თარიღის სწორად განსაზღვრის საკითხი. კერძოდ, ზემოაღნიშნული ვადა არ უნდა იქნეს გამოყენებული პირდაპირი გაგებით. მაგალითად, თუ პირს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით მოაწერინეს ხელი გარიგებაზე, მაიძულებელი პირის წასვლა არ გულისხმობს იძულების ფაქტის დასრულებას და არ შეიძლება ამ გარემოების დადგომიდან აითვალოს შეცილების ვადა. მოცემული ვადის დინება შეიძლება დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა

<sup>152</sup> *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portladndm Oregon, 2002, 450.

<sup>153</sup> BGHZ, 2.287; *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portladndm Oregon, 2002, 449. (BGHZ, 2.287).

<sup>154</sup> *Barton v Armstrong*, 1976, AC 104.

<sup>155</sup> BGHZ, 2.287; *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portladndm Oregon, 2002, 450.

<sup>156</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 88-ე მუხლი.

იძულებული პირი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პერიოდი, როცა საფრთხე უკვე რეალიზებულია და უკვე განხორციელდა.<sup>157</sup> გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, როდის თვლის იძულებული პირი თავს ზეწოლისაგან გათავისუფლებულად,<sup>158</sup> რაც, ფაქტობრივად დამოკიდებულია მის სუბიექტურ მიმართებებზე იძულების ფაქტის მიმართ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს, არა რაიმე კონკრეტული ფაქტების დადგომის პერიოდი, არამედ სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად გათვალისწინებული იქნას პირის სუბიექტური დამოკიდებულება რეალიზებული და სამომავლოდ განხორციელებადი საფრთხის მიმართ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ნორმის პრაქტიკული გამოყენების სპეციფიკა, მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>159</sup> იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ერთწლიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამთავდება პირის იძულების მომენტი, უკავშირდება პირის სუბიექტურ აღქმას, რომ მის პიროვნებად ან ქონებას, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აღარ ემუქრებათ საფრთხე. კერძოდ, გადამწყვეტია მომენტი, რომელშიც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღარ იმყოფება იძულებით განპირობებული შედეგის გავლენის ქვეშ. აღნიშნული იძულებული პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული და არა იძულების განხორციელების მომენტი.

#### IV იძულებით დადებული გარიგება სასამართლო პრაქტიკაში

##### 1. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა იძულებით დადებულ გარიგებასთან მიმართებით

იძულებით დადებული გარიგება ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებების ყველაზე მძიმე და მკაცრი ფორმაა. იძულებას შედეგად მოჰყვება პირის სუბიექტური, შინაგანი ნების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება. შესაბამისად, ნება ნაკლულად ითვლება იმიტომ, რომ იგი ცალსახად არ შეესაბამება მის გარეგნულ გამოხატულებას და პირმა ისიც ამის შესახებ.<sup>160</sup> აღნიშნული გარემოებების არსებობისას დადებული გარიგება საცილო გარიგებაა და იგი გაბათილებულ იქნება პირის მიერ ნამდვილი შეცილების საშუალებით მისივე დადების მომენტიდან.

სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებზე დაფუძნებული სასარჩელო მოთხოვნები მრავლადაა განხილული და საინტერესოა სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასებები და განმარტებები იძულებით დადებული გარიგების ზოგადი დახასიათების, მტკიცების ტვირთისა თუ

<sup>157</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, § 124 Rn. 3.

<sup>158</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, § 124 Rn. 3.; იხ. OLG Brandenburg BeckRS 2012, 10029. იხ. ციტატა: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჰანტურია (რედ.), 2017, მუხ. 89, მე-4 ველი.

<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ს-212-201-2017 განჩინება, 33.

<sup>160</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 380-381.

შეცვლების ვადასთან დაკავშირებით. სასამართლო პრაქტიკა მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში განხორციელებული შეცვლებისას სასამართლოა ის ორგანო, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილი პრაქტიკის საშუალებით უზრუნველყოფს სამართლებრივი შედეგის დადგომას. „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები“.<sup>161</sup>

იძულებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე<sup>162</sup> იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლოს მიერ არაერთი განმარტება იქნა გაკეთებული, რომლებიც შემდგომში უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებშია გამოყენებული.

სასამართლოს განმარტებით, იძულებით დადებულ გარიგებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ საკუთრების უფლება დაცული სიკეთეა შესაბამისად, დაუშვებელია მისი ჩამორთმევა, ასევე სხვაგვარი ხელყოფა, თუ არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის 116-118-ე მუხლები). ამ უფლების ხელმყოფი ნებისმიერი მოქმედება თავისთავად მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა, თუ გამონაკლისის სახით არ არსებობს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელს აწევს. ამასთან, დიდი პალატის შეფასებით, „პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რადგან არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატების ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას“.<sup>163</sup>

<sup>161</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის, 09 დეკემბრის №ას-15-29-1443-2012 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 187.

<sup>162</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

<sup>163</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 190, 193.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს განმარტებით იძულება ცალსახა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპულ კონვენციასთან მიმართებით, საქმის ზემოაღნიშნული საფუძვლით გადაწყვეტისათვის აუცილებელია დადგენილ იქნას იძულების ფაქტი, რომლის ზემოქმედებითაც პირმა განახორციელა ქმედება. ზემოაღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იძულება მიმართული იყო, როგორც თავად მის, ასევე მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ. ხოლო ამ გარემოებებმა აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი შეიძლება ყოფილიყო, რასაც შედეგად, როგორც მისი პიროვნების, ისე ოჯახისა და ქონებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვებოდა. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მის მიმართ განხორციელებული იძულება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო,<sup>164</sup> რაშიც დაეთანხმა საკასაციო სასამართლო და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული იძულება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშშიც აისახა, ამავე წელს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისაგან მას მიენიჭა პოლიტიკური თავშესაფარი და 2012 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა პოლიტიკური ნიშნით დევნილად.<sup>165</sup>

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში პირის მიმართ განხორციელებული იძულების დადგენის საფუძველი აღნიშნული იძულების საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიჩნევა გახდა. ამასთან განიმარტა, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. სასამართლომ მიუთითა რა მტკიცების ტვირთზე, იძულების ფაქტი დადგენილად მიიჩნია იმის გათვალისწინებითაც, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე ერთ-ერთი მოპასუხის მიერ არ იქნა განხორციელებული შედავება, ხოლო მეორე მოპასუხის მიერ განხორციელდა არაკვალიფიციური შედავება. რაზეც მიუთითა, რომ „მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს“.<sup>166</sup>

სასამართლო პრაქტიკაში არსებულ დავებში, რომლებშიც სასარჩელო მოთხოვნა დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებზე, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის დასრულების შემთხვევაში გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია საქართველოს სამოქალაქო

<sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 194.

<sup>165</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 195.

<sup>166</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 206, 207.

კოდექსის 54-ე მუხლი და სადავო გარიგება ამორალურად არის მიჩნეული.<sup>167</sup> აღნიშნული გამოწვეულია იძულების, როგორც საზოგადოებრივად დასაძრახი ქმედების ამორალური ხასიათით, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ის დამატებითი ამორალურობის ელემენტი, რომელიც იძულებით დადებულ გარიგებას მთლიანობაში ამორალურად და უცილოდ ბათილ გარიგებად აქცევს.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>168</sup> უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარი მართებულადაა დაკმაყოფილებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველით, იმ გარემოების არსებობისას, რომ საკრებულოსათვის გადაცემული ქონების მესაკუთრეს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას არ გააჩნდა გარიგების დადების ნამდვილი ნება. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხის მიერ არ იყო სათანადო შესაგებელი წარმოდგენილი მოსარჩელის მიერ მითითებულ იძულების ფაქტზე, რაც ადასტურებდა მოსარჩელეზე იძულების განხორციელების ნამდვილობას და გარიგება, აღნიშნულის გათვალისწინებით ბათილია, როგორც ამორალური.<sup>169</sup> ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით სახეზეა როგორც იძულება, ისე ამორალურობა, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი 54-ე მუხლია.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუხედავად იძულების ფაქტის დადგენისა სასამართლოს განმარტებით ამორალურობაც გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ იძულებით დადებულ გარიგებას, იძულების ამორალური ხასიათის გათვალისწინებით ამორალურობის დამატებითი ელემენტი აქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მესამე ვარიანტით ბათილ გარიგებად. მოცემულ შემთხვევაში, ამორალურობის დამატებით ელემენტად, შეიძლება ჩათვალოს, ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ იძულების საფუძველზე განხორციელდა ქონების მიღება, იმ პირობებში, რომ გამჩუქებელზე პროკურატურის მხრიდან განხორციელდა იძულება მისთვის თავისუფლების აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემის მუქარით, თუმცა გამჩუქებლისთვის გაურკვეველი იყო თუ რა საფუძველით უნდა მომხდარიყო მისი დაკავება.<sup>170</sup> აღნიშნული ფაქტის ამორალურობის კონტექსტში შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარიგების ისეთ პირობებში დადება, როცა სახელმწიფო პირდაპირი იძულებით ცდილობს მიიღოს ქონება მოქალაქისაგან ამორალურია იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობს თავისი, როგორც ძლიერი მხარის

<sup>167</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-271-271-2018 განჩინება; სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის №28/4686-13 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №ას-1230-2018 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება და სხვა.

<sup>168</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება.

<sup>169</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება, 30-34.

<sup>170</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება, 7.

უპირატესობით შეუქმნას პირს ისეთი პირობები, რომ იძულებული შეიქმნას დასთანხმდეს გარიგებას, მითუმეტეს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამჩუქებელს არ გააჩნდა რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელება ცალსახად ამორალურია, როცა მის მიერ იძულების საშუალებით უსასყიდლოდაა მიღებული ქონება, როცა აღნიშნული გარიგება არ ემსახურება სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას.<sup>171</sup>

ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით კიდევ ერთი საქმის განხილვისას დადგინდა, რომ „მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფოსათვის ქონების ჩუქება იმ დროისათვის, როდესაც მისი ოჯახის წევრები სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემული, არ წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთ ვითარებაში კი მადლიერების ნიშნად სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემა, სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო სამართლებრივ კონტექსტში ბათილი გარიგებაა, თავად გარიგების შინაარსის უზნეობისა და ამორალურობის გამო“.<sup>172</sup>

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გარკვეულწილად არათანმიმდევრულია მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას. ერთ-ერთ განჩინებაში, რომელიც 2015 წელს იქნა მიღებული თითქმის იდენტური გარემოებების არსებობისას უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგან ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი, სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 85-86 (1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა იყო განხორციელებული, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური შემადგენლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი (სსკ-ის 85-86(1) მუხლები).<sup>173</sup> კიდევ ერთ თითქმის იდენტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას სასამართლომ დადებული გარიგება მიიჩნია საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ და მიუთითა, რომ გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა „საჯარო წესრიგი“.<sup>174</sup> ამ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს აქცენტი არ გაუკეთებია გარიგების ამორალურობაზე, თუმცა შემდგომ წლებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკა მსგავს შემთხვევებში გარიგებას, როგორც წესი, ამორალურ გარიგებად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაში იძულების ფაქტის დადგენისას მითითებულია, რომ რთულია ისეთი პირდაპირი მტკიცებულებების წარდგენა

<sup>171</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, 29-ე ველი.

<sup>172</sup> მაგ. საქათველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №ას-1230-2018 განჩინება, 18.9.3.

<sup>173</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინება, 24.

<sup>174</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება, 28.

რომელიც დაადასტურებს იძულებას.<sup>175</sup> თუმცა, ვინაიდან იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია,<sup>176</sup> გარემოებათა ერთობლიობა უნდა ზადებდეს სასამართლოსთვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა.<sup>177</sup>

ზემოაღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება პირის მიერ ნების თავისუფლების პირობებში ქცევისა და იძულებისას განხორციელებული ქცევის განსხვავებულობის თაობაზე. მაგალითად, როცა პირს არ აქვს რაიმე ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ და იგი გადასცემს მის კუთვნილ ქონებას საკუთრებაში, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ორგანოებიდან მასზე გარკვეული სახის ზეწოლა მიმდინარეობს, ცალსახაა მართლსაწინააღმდეგო იძულების ფაქტი. მაგალითად, პირის მიერ გარიგების დადებაზე გამოვლენილი ნება ცალსახად ნაკლულად უნდა ჩაითვალოს, როცა იგი გამოვლენილია არა ქონების მოპასუხისათვის ჩუქების სურვილით, არამედ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარის შედეგად.<sup>178</sup>

გარიგების იძულებით დადების შეფასების კონტექსტში მნიშვნელოვანია, მუქარის ხასიათი და მოსალოდნელი საფრთხის რეალურად აღქმა იძულებულის მიერ. ზემოთ აღნიშნულ იქნა ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა შეფასდეს იძულების საშუალება, მიზანი, მათი ურთიერთდამოკიდებულება და მართლსაწინააღმდეგობა. მიუხედავად იმისა, რომ პირზე განხორციელებული მუქარის ნების მომდრეკი ხასიათი უმეტესად იძულებულის სუბიექტური დამოკიდებულებით ფასდება, მნიშვნელოვანია აღნიშნული იძულების ხასიათი. მაგალითად, ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა „თუ არ წამოგვევები მე შენ დაგკმუჭნი“ და „თუ არ დათმობ, დაგათმობინებ“ არ იქნა მიჩნეული გარიგების დადების მიზნით პირის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და მუქარის ფაქტად.<sup>179</sup>

ამასთან, მუქარა იმგვარი სამომავლო საფრთხის შესახებ შეტყობინებაა, რომლის რეალიზებასაც დამმუქრებელი საკუთარ ნება-სურვილზე დამოკიდებულად წარმოაჩენს.<sup>180</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების განხორციელების ფაქტით გამოწვეული შიში იძულებს პირს მოახდინოს სხვისი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა. სწორედ მაიძულებელი პირისათვის

<sup>175</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება, 1.3.10.

<sup>176</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 207; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 29.

<sup>177</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება, 1.3.10.

<sup>178</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის №ას-692-662-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინება.

<sup>179</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის №ას-1796-1773-2011 განჩინება.

<sup>180</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის №132-124-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის №ას-170-163-2013 განჩინება; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 350; BGH NJW 1951,643. იხ. ციტატა: რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, მე-13 ველი.

სასურველი ნების გამოვლენა წარმოადგენს მუქარის მიზანს<sup>181</sup>. შესაბამისად, ზემოაღნიშნული დაპირებები „დაჭმუჭვნასა“ და დათმობის იძულების თაობაზე უნდა განხილულიყო საქმეში არსებულ ყველა გარემოებასთან მჭიდრო კავშირში და რაც მთავარია მომჩივნის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებით მუქარასთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, რომ იძულება განისაზღვრებოდეს პირის სუბიექტური აღქმიდან გამომდინარე, მაგრამ იგი განხილული უნდა იყოს გარემოფაქტორების გათვალისწინებით. მითუმეტეს, რომ სამართლებრივ დოქტრინებში იძულების სერიოზულობა არ არის გადამწყვეტი და მთავარია, რომ დამუქრებული პირი მას იღებდეს სერიოზულად და აღიქვამდეს როგორც რეალურ საფრთხეს.<sup>182</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულ საქმეში მითითება ფრაზების მუქარად აღქმის არასაკმარისობის თაობაზე არ არის მართებული. მსგავსი მსჯელობის განვითარება შეიძლება ერთ-ერთ საქმესთან<sup>183</sup> დაკავშირებით, სადაც სასამართლოს მიერ მითითებულია, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას იძულებულის სუბიექტური დამოკიდებულებაც. სასამართლოს მიერ იმაზე მითითება, რომ მხარეს მისი თანამდებობა არ აძლევდა უფლებამოსილებას სისრულეში მოეყვანა მის მიერ განხორციელებული მუქარა არამართებულია. ვინაიდან, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა მაიძულებელ პირს მის მიერვე დამუქრებული საფრთხის განხორციელების უფლება.<sup>184</sup>

სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილია შემთხვევები, სადაც დარღვეულია შეცილების ვადა თუმცა, მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად იგი იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ მოსარჩელის მიერ ქონების მიტოვების და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე გარიგება დადებული იყო იძულებით. კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, სამართლებრივად ნამდვილი იქნებოდა, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე პირველი მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მათ ნამდვილ, შინაგან ნებას და ცალსახად ნაკლის მქონედ ჩაითვალა, რადგანაც გამოვლენილი იყო არა საკუთრების მიტოვების, არამედ პირველი მოსარჩელისთვის მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეებმა უძრავი ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ მიატოვეს მას შემდეგ, რაც პირველი მოსარჩელის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთის შიში გახდა ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რამაც პირველი მოსარჩელე და მისი ოჯახის წევრები აიძულა მიეღო ქონების მიტოვების

<sup>181</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის №ას-1796-1773-2011 განჩინება.

<sup>182</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, § 123 Rn. 26.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება.

<sup>184</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 88, მე-4 ველი.

გადაწყვეტილება. მითუმეტეს, რომ ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შემდგომ მოსარჩელესთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.<sup>185</sup>

ამასთან, ზემოაღნიშნულ საქმესთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მითითებით სწორედ განხორციელებული იძულება იყო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი. ხოლო მის ამორალურობასთან დაკავშირებით განჩინებაში მსჯელობა არ არის და მითითებულია, შემდეგი: „რასაკვირველია, გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი (სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, სსკ-ის 54-ე მუხლი)“, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელების მიერ გაშვებული იყო შეცილების 1 წლიანი ვადა, სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გათვალისწინებით.<sup>186</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, რეალურად მართებულია, რადგან ამორალურობის დამატებითი ელემენტის, საჯარო წესრიგის მიმართ წინააღმდეგობისა და განვითარებული სასამართლო პრაქტიკის<sup>187</sup> გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსთან დადებული გარიგება სისხილსაშინაობრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით შინაარსობრივად ამორალურია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ, ზედმეტი მსჯელობის გარეშე, შეცილების ვადის დარღვევის გათვალისწინებით, ჩათვალა გარიგება ამორალურად.

## 2. მტკიცების ტვირთის გადანაწილება სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

გარიგების ბათილობის საფუძველად იძულების მიჩნევისას, მნიშვნელოვანია, მტკიცების ტვირთის გადანაწილება. აღნიშნულ შემთხვევაში, მხარე, რომელიც აპელირებს გარიგების იძულებით დადებაზე, უნდა ამტკიცოს კიდევ მისი წინაპირობები.<sup>188</sup> ვინაიდან, სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზეა დამყარებული, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.<sup>189</sup> ამასთან, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებს თავის მოთხოვნებს და შესაგებელს.<sup>190</sup>

აღსანიშნავია, რომ იძულების შემთხვევაში, რთულია პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა და ასეთ შემთხვევაში, „გარემოებათა ერთობლიობა უნდა ბადებდეს სასამართლოსათვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა, ამასთანავე, კონტრაჰენტი, რომელიც

<sup>185</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის №ას-1816-2018 განჩინება, 20.3.

<sup>186</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის №ას-1816-2018 განჩინება, 21.

<sup>187</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის №ას-1184-1145-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება.

<sup>188</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, 35-ე ველი.

<sup>189</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>190</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი 1-ლი ნაწილი.

ამტკიცებს, რომ მის მიმართ განხორციელდა იძულება კონკრეტულად უნდა გადმოსცემდეს ფაქტებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ადგილი მისი ან მისი ახლობლის მიმართ, რატომ იყო ეს ქმედება რეალური ხასიათის და სხვა“.<sup>191</sup> მითუმეტეს, რომ გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს.<sup>192</sup> მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>193</sup> სასამართლო მიუთითებს მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საპირისპიროდ მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელზე და განმარტავს, რომ შეუდავებელი ან არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის უფლება ხელყოფილია იძულების გზით. ხოლო პრეზუმირებული ფაქტების გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეცილების უფლების გამოყენებისას, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, რა დროსაც მან უნდა ამტკიცოს, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა ძალადობის ან მუქარის რომელიმე ფორმა და ხელშეკრულება, ფაქტობრივად, დადებულია იძულების გზით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ეხება კერძო პირებს შორის დავას.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით „იძულება“ არის არა ფაქტი, არამედ ფაქტის სამართლებრივი შეფასება.<sup>194</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასების საკითხია გამომდინარეობს თუ არა იძულების შემადგენლობა საქმეში არსებული გარემოებათა გათვალისწინებით. გარემოებათა ერთობლიობა უნდა ბადებდეს სასამართლოსთვის გონივრულ ეჭვს, რომ ნების თავისუფლების პირობებში პირი ამ შინაარსის შეთანხმებას არ გააფორმებდა.<sup>195</sup>

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარე სახელმწიფოა სხვაგვარად ნაწილდება მტკიცების ტვირთი. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცილების შედეგად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი დავებისას სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, კანონისა და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა.

<sup>191</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება, 1.3.10.

<sup>192</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის №ას-89-83-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 207; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 29.

<sup>193</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 206, 207.

<sup>194</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 207;

<sup>195</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის №ას-1102-1022-2017 განჩინება, 1.3.10.

აღნიშნული შეიძლება გავრცელდეს იძულებით დადებულ გარიგებათა კატეგორიაზეც, ვინაიდან მისი ნამდვილობა მხარის მიერ შეცვლების უფლების გამოყენებაზეა დამოკიდებული. კერძო პირთა შორის დადებული ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, რომლის დროსაც ხელშემკვრელი მხარეები ერთ სამართლებრივ სიბრტყეზე იმყოფებიან, სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების არსებობის შეთხვევაში, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერ მხარეს, გააჩნია ვალდებულება განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას ყველა პირის ქონებრივი უფლებები.<sup>196</sup>

ფაქტობრივად, დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკა, როცა სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, „თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს. სწორედ ამგვარ მყარ პრეზუმფციებს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გალსთიანი სასომხეთის წინააღმდეგ“.<sup>197</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილობის თაობაზე მსჯელობისას სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა სამართალურთიერთობაში ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხს განსაკუთრებით მაღლა აყენებს, რადგან კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან სახელმწიფოს მონაწილეობით დადებულ გარიგებებში მაღალია ამ უკანასკნელის, როგორც ძლიერი სუბიექტის ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი. ამავე გადაწყვეტილებაში იგივე მიმართებაა გავრცელებული გარიგების იძულებით დადებასთან დაკავშირებულ საქმეებთანაც. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღნიშნა მოსარჩელის მიერ კონკრეტული ფაქტების მითითებით პრეზუმირებული იძულების განხორციელებასთან მიმართებით, მოპასუხეს ევალება მიუთითოს ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც გააქარწყლებენ გარიგების იძულებისა და მუქარის საფუძველზე დადების ვარაუდს. ამასთან, უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ამტკიცოს, რომ მას არ გამოუყენებია იძულება მოსარჩელეზე და მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით კვლავ გაუსვა ხაზი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც „ძლიერი“ მხარის მონაწილეობის შემთხვევაში არსებულ მყარ პრეზუმფციაზე.<sup>198</sup>

<sup>196</sup> საქართველოს საპელაჯო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის №28/4686-13 გადაწყვეტილება.

<sup>197</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 26.

<sup>198</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 26.

### 3. შეცილების ვადა სასამართლო პრაქტიკაში

იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით იძულების დამთავრების მომენტიდან ერთ წელია. გარიგების იძულების გზით დადებისას მაიძულებელი ძალადობის ან მუქარის მეშვეობით პირის ნების შეზღუდვის საფუძველზე იღებს სასურველ შედეგს. მნიშვნელოვანია, რომ იძულება არ წყდება გარიგების დადების მომენტიდანვე, შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული შეცილების ვადასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის კუთხით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული ვადის დენის დაწყების თარიღის განსაზღვრასთან დაკავშირებული მსჯელობა. ვინაიდან, იძულების დამთავრების მომენტის არასწორად შეფასება უდიდეს ზიანს აყენებს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესს.<sup>199</sup>

იძულების დამთავრება შეცილების ვადასთან მიმართებით იძულებული პირის სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით უნდა იქნეს შეფასებული. იძულების ფორმალური დამთავრება არ იძლევა შეცილებისათვის გათვალისწინებული ვადის დენის დაწყების საფუძველს, იმის გათვალისწინებით, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ობიექტური და სუბიექტური დამოკიდებულებები. კერძოდ, როცა იძულებულს შეუძლია თავისუფლად განაცხადოს მასზე განხორციელებული იძულების შესახებ - მასში აღწერილი საფრთხის რეალიზაციისას. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა მომენტიდან თავისუფლდება შეცილების უფლების მქონე იძულებით გამოწვეული წნეხისგან, მისივე სუბიექტური დამოკიდებულების მიხედვით.<sup>200</sup>

უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ უშუალოდ მუქარის ან ძალადობრივი ქმედების დასრულების მომენტის მხედველობაში მიღებით, ფაქტობრივად, გამოუყენებელი დარჩებოდა გარიგების ბათილობის მოთხოვნის შესაძლებლობა. ვინაიდან, იძულება შესაძლებელია მომდინარეობდეს სხვადასხვა წყაროებიდან და მაიძულებელი ქმედების დასრულება არ გულისხმობს საფრთხის დადგომის შეუძლებლობას მაიძულებელი პირისაგან. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის რეალური საფრთხე, რასაც პირი ელის მაიძულებელისგან მიუხედავად გარიგებაზე თანხმობის გაცხადებისა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მრავლადაა მსგავსი შემთხვევები, როცა მოსარჩელეთა მიერ გარიგება დადებული იყო იძულების საფუძველზე, თუმცა მის მიერ შეცილება განხორციელდა მაიძულებელ ქმედებათა დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რადგან ისინი კვლავ გრძნობდნენ რეალურ საფრთხეს.<sup>201</sup>

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის №ას-333-314-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის №ას-586-551-2010 განჩინება.

<sup>200</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 სექტემბრის №2ბ/671-15 განჩინება; *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 89, მე-4 ველი.

<sup>201</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-271-271-2018 განჩინება, 19; მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეცილების კანონით დადგენილ ვადაში განხორციელება სასამართლოს მხრიდან სავალდებულო შემოწმებას დაქვემდებარებული საკითხია და სამართლის თეორიაში ე.წ. სასამართლო შესაგებლის სახელითაა ცნობილი. ამასთან, მოსამართლემ თავად უნდა გამოარკვიოს როდის და რა მეთოდით გახადა საცილო მოსარჩელემ სადავო გარიგება.<sup>202</sup> მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>203</sup> გარიგებაზე განხორციელებული შეცილების ვადის დაცვასთან მიმართებით გამოარკვია იძულების დამთავრების სავარაუდო მომენტი და განსაზღვრა ვადის დაცვის საკითხი. კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ იძულება სულ მცირე 2012 წლის არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა, ვინაიდან ახლადარჩეულმა პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბრის აქტით იგი პოლიტიკურ დევნილად ცნო. ამასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ იძულების სავარაუდო დასრულების თარიღი პარლამენტის მიერ მიღებულ კონკრეტულ აქტს დაუკავშირა, თუმცა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პირის სუბიექტური დამოკიდებულება იძულების ფაქტის მიმართ.

საკასაციო სასამართლო იძულებას უფლების განგრძობად დარღვევად მიიჩნევს. იმავე ნორმის შინაარსი კი უშვებს იძულების გაგრძელების შესაძლებლობას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც, რადგან შეცილების ვადის ათვლა დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების დადების მომენტზე. ამ შემთხვევაში არსებობს განსხვავება გარიგების დადებისათვის განხორციელებულ იძულებასა და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის, რადგან შედეგის მიღების შემდეგ ის პირი, რომელმაც განახორციელა იძულებითი ზემოქმედება, შეიძლება აღარ ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ კვლავ არსებობდეს ზემოქმედების საფრთხე. ამიტომ, უზენაესი სასამართლო შეცილების ვადის ათვლას უკავშირებს მხარის პიროვნული გათავისუფლების მომენტს, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ აღარ არსებობს რეალური საფრთხე, რომელსაც მის მოქმედებაზე ზემოქმედება შეუძლია.<sup>204</sup> შესაბამისად, „გადამწყვეტია მომენტი, რომელშიც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღარ იმყოფება იძულებით განპირობებული შედეგის გავლენის ქვეშ. აღნიშნული იძულებული პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული (იხ. A. Arnold in Ermann BGB Kommentar 14. Aufl. Band. I. Köln 2014 §124 Rn 4) და არა იძულების განხორციელების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში“.<sup>205</sup>

<sup>202</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 აპრილის №ას-1238-1158-2017 განჩინება, 56; მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება.

<sup>203</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 212.

<sup>204</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 აპრილის №ას-1238-1158-2017 განჩინება, 58.

<sup>205</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-271-271-2018 განჩინება, 19; მითითებულია: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება.

### 3.1. შეცილების ვადასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

რაც შეეხება შეცილების ვადის დაცვასთან მიმართებით არსებულ მტკიცების ტვირთს, იგი მოსარჩელეს ეკისრება. გასათვალისწინებელია, რომ შეცილების ვადა სასამართლოს მიერ სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება. შესაბამისად, საჭირო არ არის მოპასუხის მიერ აღნიშნულზე მითითება. ისეთ შემთხვევაში კი, როცა გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული, მოსარჩელეა ვალდებული დაადასტუროს, რომ შეცილება განხორციელებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან, გარიგების დადების მომენტი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს იძულების დამთავრების მომენტს, სამართლის თეორიაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული და შემცილებელი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ იძულება გარიგების დადების შემდეგაც გრძელდებოდა, ოღონდ არა თავდაპირველი, არამედ მოდიფიცირებული ფორმით, მაშინ ამ მოდიფიცირებული მუქარის მტკიცების ტვირთი ისევ შემცილებელზე გადადის.<sup>206</sup>

## V კანონსაწინააღმდეგო, საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებანი

### 1. ზოგადი დებულებანი

ვინაიდან, გარიგების ცნება ნების გამოვლენის ცნებისაგან განუყოფელია,<sup>207</sup> გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია ნების გამოვლენის ნამდვილობა. რომელსაც გარკვეული წინაპირობები გააჩნია. როგორც, ზემოთ იყო აღნიშნული ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის იგი მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ და გამოვლენილი იყოს სამართლებრივად გამართულად.

მიუხედავად ნების და მასთან ერთად დადებული გარიგების ნამდვილობისა, გარკვეულ შემთხვევებში იგი ბათილად იქნება მიჩნეული. სამოქალაქო კოდექსის ნორმატიული შინაარსი გარიგების დადების არსებულ ფორმალურ სისწორესთან ერთად მის შინაარსსაც აკონტროლებს. ასეთს განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს კერძო ავტონომიასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებს.<sup>208</sup> კერძოდ, იგი ბათილად მიიჩნევს ისეთ გარიგებას, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. ასეთივე

<sup>206</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 აპრილის №ას-1238-1158-2017 განჩინება, 58; მითითებულია: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2017 წელი, გვ. 528.

<sup>207</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 236.

<sup>208</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 54, 1-ლი ველი.

შინაარს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 134-ე და 138-ე პარაგრაფები.

ფაქტობრივად, აღნიშნული ნორმა აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როცა პირთა ნამდვილი ნების საფუძველზე დადებული გარიგება ხელყოფს სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ ფასეულობებს.<sup>209</sup> მიუხედავად ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა, სამართალი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით, მოწოდებულია დაამყაროს წესრიგი, რომელიც გამომდინარეობს თითოეული საზოგადოებისა და სოციუმის კანონების, წესრიგისა და აღიარებული ზნეობრივი ღირებულებების პატივისცემისა და დაცვის მოვალეობისაგან. მისი ძირითადი ამოცანაა, ყოველი ახალი სამართლებრივი კავშირის - გარიგების დადებისას განსაზღვროს მოქმედებენ თუ არა მხარეები კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.<sup>210</sup>

ზემოაღნიშნული შეზღუდვები გამოიყენება ნებისმიერი გარიგების მიმართ, მიუხედავად იმისა, იგი იქნება ცალმხრივი, ორმხრივი თუ მრავალმხრივი.<sup>211</sup> აქედან გამომდინარე, სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში მნიშვნელობა არ აქვს გარიგების ხასიათსა და მის ფორმალურ მხარეებს, ვინაიდან, დაცვის სფეროს სწორედ ის ფასეულობები და წესრიგის უზრუნველმყოფი ნორმები წარმოადგენენ, რომლებსაც საზოგადოებაში აღიარებული წესები და ობიექტურად მისაღები ზნეობრიობის ნორმები ითვალისწინებენ.

54-ე მუხლით გამოყოფილია სამი სახის ფასეულობა<sup>212</sup>, რომელთა დარღვევას, გარიგების ბათილად ცნობამდე, მივყავართ, ესენია, კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა, საჯარო წესრიგი და ზნეობის ნორმები.<sup>213</sup>

ვინაიდან, ნაშრომის თემა იძულებით დადებულ და ამორალურ გარიგებებს ეხება, ყურადღება გამახვილებული იქნება ამორალურ გარიგებებზე, თუმცა განსახილველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებიც.

## 2. კანონსაწინააღმდეგო გარიგებანი

54-ე მუხლში პირდაპირი მითითებაა იმასთან დაკავშირებით, რომ გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს. რომლის განმარტებაც ნორმატიული აქტების შესახებ კანონიდან და სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან უნდა მოვიშველიოთ. ხოლო ნორმაში მითითებული „კანონი“ ფართოდ უნდა გავიგოთ, ვინაიდან მასში

<sup>209</sup> *Wendland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, §134, Rn. 1; *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 271.

<sup>210</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 65.

<sup>211</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჰანტურია (რედ.), 2017, მუხ. 54, მე-3 ველი.

<sup>212</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 54, 176.

<sup>213</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჰანტურია (რედ.), 2017, მუხ. 54, 1-ლი ველი.

მოიაზრება კანონის ფორმალური და მატერიალური გაგება.<sup>214</sup> ფაქტობრივად, როცა პირს სურს დადოს სამოქალაქოსამართლებრივი ანდაც სხვა ტიპის გარიგება, იმისათვის, რომ მისი გარიგება დარჩეს ძალაში და არ დაემუქროს ბათილობის საფრთხე, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ გარიგება შინაარსობრივად არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს.<sup>215</sup>

ნორმა არ აკონკრეტებს რა სახის ნორმებზეა საუბარი. ნორმები, რომელთა თანახმად გარიგება ბათილად ითვლება, ყველა მართლწესრიგში ერთნაირია, მიუხედავად იმისა, იგი კოდიფიცირებული კანონის ნორმებია თუ პრეცედენტული სამართლის მიერ ჩამოყალიბებული.<sup>216</sup> თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქმე ეხება ისეთი ტიპის ნორმებს, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებენ ისეთ გარემოებას, რომელზე შეთანხმებაც, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში დაუშვებელია. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ დაუშვებელია საკუთარი თავის საზიანო გარიგების დადება. ასეთ შემთხვევაში პირდაპირაა განსაზღვრული ისეთი ტიპის გარიგება, რომლის დადებაც აკრძალულია. კიდევ ერთი მაგალითია, როცა სპს-ს პარტნიორები დებენ ისეთ გარიგებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ საზოგადოების კრედიტორების წინაშე საზოგადოების ვალდებულებებისათვის. ვინაიდან, ასეთი გარიგების დადება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად აკრძალულია, აღნიშნული გარიგება იმთავითვე ბათილად ჩაითვლება, როგორც კანონის წინააღმდეგ დადებული გარიგება და მას არ ექნება სამართლებრივი ძალა მესამე პირთათვის.<sup>217</sup>

მართლწესრიგში არსებული ნორმები, ხშირად შეიცავენ ისეთ დანაწესებს, რომლებიც გარკვეულ ქმედებებს კრძალავენ სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.<sup>218</sup> მნიშვნელოვანია ის საკითხიც, ბათილია თუ არა ისეთი გარიგება, როცა ხელშეკრულების დადებისას ან მისი შესრულებისას ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია კანონი. ასეთ შემთხვევაში, კი როცა ხელყოფა ხორციელდება გარიგების ერთ-ერთი მხარის მიერ, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იწვევს გარიგების ბათილად ცნობას.<sup>219</sup> ისეთ შემთხვევაში, როცა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა გარიგების ორივე მხარეს ეხება ცალსახაა, რომ ამ დროს პრობლემა არ წარმოიშობა გარიგების ბათილობის კუთხით. მიუხედავად აღნიშნულისა, ხელშეკრულება ბათილია, როცა ნორმატიული დანაწესი მხოლოდ გარიგების ერთ მხარეს უწესებს აკრძალვას, მაგრამ ხელშეკრულების ერთმა მხარემ იცოდა, რომ გარიგების დადებით კანონს არღვევდა,

<sup>214</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჰანტურია* (რედ.), 2017, მუხ. 54, მე-13 ველი.

<sup>215</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50. Aufl.2019, §134, Rn. 1.

<sup>216</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითსამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 65.

<sup>217</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 352.

<sup>218</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითსამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 71.

<sup>219</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 275.

ასეთი გარიგება ბათილად ჩაითვლება. მაგალითად, თუ პირი ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელსაც ნებართვა ესაჭიროება, მაგრამ აღნიშნული არ აქვს და მიყიდველი გაზრახ შეჰყავს შეცდომაში, ასეთ ვითარებაში დადებული გარიგება ბათილად ჩაითვლება.<sup>220</sup>

ფაქტობრივად, ასეთივე ცალკეული შემთხვევების განხილვისას ცხადია, რომ გარიგების ბათილობისათვის საჭიროა კანონის იმპერატიულ დანაწესებთან ნების გამოვლენის შეუსაბამობა.<sup>221</sup> თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კანონით დადგენილი იმპერატიული დანაწესების დარღვევა ყოველთვის არ იწვევს გარიგების ბათილად ცნობას. მაგალითად, როცა რაიმე ქმედება სახელმწიფოს მიერ დაქვემდებარებულია ნებართვის გაცემას ხოლო მხარეებმა ნებართვის გარეშე განახორციელეს იგი და დადეს გარიგება ამის თაობაზე.

რაც შეეხება კანონით დადგენილ აკრძალვებს, მათი უმეტესობა საჯაროსამართლებრივია და კერძო სამართლის სფეროს სცილდება. სამსჯელოა ისეთი გარემოებები, როცა სისხლისსამართლებრივი ან საჯაროსამართლებრივი ნორმა გარკვეული ქმედების პირდაპირ აკრძალვას ითვალისწინებს, თუმცა გარიგებასთან დაკავშირებით დასკვნები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლოგიკური ბმის საშუალებით უნდა იქნეს გამოტანილი და აღნიშნული ქმედებასთან ერთად დადებული გარიგება ბათილად ჩაითვალოს.<sup>222</sup>

კანონით დადგენილი აკრძალვის დარღვევით დადებული გარიგების ბათილობას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 134-ე პარაგრაფი. თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, ნორმას დამატებული აქვს დათქმა იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული გარიგება ბათილია „თუ კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი არ გამომდინარეობს“. 134-ე პარაგრაფის შესაბამისად, გარიგების ბათილობისათვის მოწმდება სამი ეტაპი. კერძოდ, გარიგება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ეს კანონი უნდა იყოს ამკრძალავი 134-ე პარაგრაფის გაგებით და უნდა დადგინდეს, 134-ე პარაგრაფის თანახმად დგება თუ არა ბათილობა ან კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი ხომ არ გამომდინარეობს.<sup>223</sup>

### **3. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებანი**

კანონმდებლობის თანახმად, ბათილია ისეთი გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. მიუხედავად ამისა, მისი აღმნიშვნელი სამართლებრივი დეფინიციას კანონმდებლობა არ განამტკიცებს.<sup>224</sup> საჯარო წესრიგის ცნება (*odere*

<sup>220</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითისამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 71.

<sup>221</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 54, 177.

<sup>222</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), 2017, მუხ. 54, მე-18-მე-19 ველები.

<sup>223</sup> *კროფჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 61, 1-ლი ველი.

<sup>224</sup> *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), 2017, მუხ. 54, 26-ე ველი.

public, public policy, Vorbehaltsklausel) ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნისათვის.<sup>225</sup> იგი გათვალისწინებულია ინგლისური და ჰოლანდიური სამართლის მიხედვითაც, რომელიც ბათილად აღიარებს ისეთ გარიგებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალს ან/და საჯარო წესრიგს.<sup>226</sup>

ინგლისური და ჰოლანდიური სამართალი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დათქმებს, რომელთა თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც საწინააღმდეგოა ისეთი საჯარო ინტერესის, რომელიც სხვა სპეციალური ნორმით ან კანონით არ არის დაცული. ასეთი დათქმები უმეტეს შემთხვევაში გულისხმობენ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებს გარიგების ბათილობას მისი საჯარო წესრიგის ან კეთილი ნების წინააღმდეგობის შემთხვევაში. აღნიშნული ქვეყნების სამართალი მაინც არ არის ერთგვარი, ზემოაღნიშნულ ბათილობის საფუძვლებთან მიმართებით. ისინი ფუნქციურად ექვივალენტურები არიან იმდენად, რამდენადაც მათში გათვალისწინებული ნორმები ემსახურება კერძო პირთა გაფრთხილებას სანამ სასამართლო უარყოფს გარიგების ნამდვილობას საჯარო წესრიგის წინააღმდეგობის საფუძვლით.<sup>227</sup>

მასში შეიძლება მოვიაზროთ „სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ.“<sup>228</sup> ამასთან, საჯარო წესრიგის შესახებ დათქმა საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინის თანახმად კოლიზიური ნორმის შეზღუდვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.<sup>229</sup> როგორც ზემოთ აღნიშნა, იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტალური პრინციპები. საერთაშორისო კერძო სამართლის ჭრილში, უნდა ითქვას, რომ იგი შეიძლება განმარტებულ იქნას ისე, რომ საჯარო წესრიგი მოიაზრებდეს იმ ფუნდამენტალურ პრინციპებს, რომლებიც ქვეყნის შიგნითაა აღიარებული. როგორც კოლიზიური ნორმის შეზღუდვის საშუალება, იგი უკავშირდება სახელმწიფოში არსებულ ნორმათა შესაბამისად აღიარებული და დადგენილი პრინციპების შედეგად ჩამოყალიბებულ წესრიგს.

სადავოა ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს გარიგების მიმართება საჯარო წესრიგთან. თუმცა გარკვეული დოქტრინალური წარმოდგენებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ შემთხვევას, როცა გარიგება ეწინააღმდეგება მორალსა და კეთილ ნებას, რომელთა წინააღმდეგ

---

<sup>225</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011, 116.

<sup>226</sup> *Mansoor*, *Contracts Contrary to Public Policy under English and Dutch Law*, 1 EUR. J. COMP. L. & GOVERNANCE 297 (2014), 289.

<sup>227</sup> *Mansoor*, *Contracts Contrary to Public Policy under English and Dutch Law*, 1 EUR. J. COMP. L. & GOVERNANCE 297 (2014), 289.

<sup>228</sup> *ზოიდე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 54, 178.

<sup>229</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011, 116.

მიმართული ნორმების გამოყენება ჯერ კიდევ შუასაუკუნეებიდან არის ცნობილი.<sup>230</sup> ამასთან, მხოლოდ კანონით დადგენილ ნორმებზე ყურადღების გამახვილება არამართებული იქნება, რადგან თუ გარიგება რაიმე კონკრეტულ ნორმას ეწინააღმდეგება, სახეზეა კანონსაწინააღმდეგო გარიგების შემადგენლობა.<sup>231</sup>

აღნიშნული ცნების შემოღება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსთან არის დაკავშირებული, ხოლო გერმანულ სამართალში ასეთივე საფუძვლით გარიგების ბათილობა არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, გერმანულ სამართალში საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული გარიგებების თაობაზე პრაქტიკაც მეტნაკლებად არ გვხვდება. ამისგან განსხვავებით, ფრანგულ სამართალში გათვალისწინებულია პოლიტიკური (*ordre public politique*) და ეკონომიკური (*ordre public economique*) საჯარო წესრიგის ცნებები. პოლიტიკური საჯარო წესრიგის ქვეშ მოიაზრება ყველა ის ნორმა, რომელიც არ მოიცავს ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავს „სახელმწიფოს, ოჯახისა და ინდივიდის ძირეულ ინტერესებს.“<sup>232</sup>

საქართველოში საჯარო წესრიგის შეზღუდვის მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა მხარეთა თავისუფლების დარღვევა, დაქორწინების თავისუფლების შეზღუდვა ან საკუთრებისა და ხელშეკრულების სოციალური ფუნქციის უარყოფა.<sup>233</sup> თუმცა, აღნიშნულ მაგალითებში ხშირად არის შემთხვევები, როცა გარემოებათა ერთობლიობით დგინდება, რომ გარიგება კანონის წინააღმდეგაა მიმართული, ანდაც ზნეობის წინააღმდეგ და თავისი შინაარსით წარმოადგენს ამორალურ გარიგებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა ცალსახაა გარიგების კანონსაწინააღმდეგობა ან ზნეობის ნორმებთან შეუსაბამობა იგი სწორედ აღნიშნული საფუძვლით იქნება გაბათილებული. აღნიშნული მაინც სადავო საკითხია, რადგან შეიძლება სასამართლო პრაქტიკა არ იყოს ერთგვაროვანი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სირთულეს წარმოადგენს გარიგების მიმართების დადგენა საჯარო წესრიგთან ერთად, კანონსაწინააღმდეგობის და ზნეობის ნორმებთან. მაგალითად, როცა ადვოკატმა დადო ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მისი მარწმუნებლის საწინააღმდეგოდ იქნა დადებული და გამოყენებული, ასეთი გარიგება ჩაითვალოს საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გარიგებად, მიუხედავად იმისა, ადვოკატი მოქმედებდა თუ არა ცუდი ქვენაგრძნობით. აღნიშნული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ოჰაიოს უზენაეს სასამართლოში.<sup>234</sup> მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, სასამართლო საკუთარ თავზე არ იღებს იმას, რომ განმარტოს თუ რა არის მართლსაწინააღმდეგო ან საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო. კიდევ ერთი შემთხვევაა, რომ გარიგება თავისი შინაარსით არის კანონსაწინააღმდეგო ან საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო, მაგრამ სასამართლოს

<sup>230</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011, 117.

<sup>231</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჰანტურია (რედ.), 2017, მუხ. 54, 29-ე ველი.

<sup>232</sup> *ჰანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 357.

<sup>233</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 277-278.

<sup>234</sup> *Contract Void on Grounds of Public Policy*, Harvard Law Review, Vol. 11, No. 2 (May 25, 1897), pp. 119-120; *Weber v. Siay and Cagalz*, 56 Ohio, 5'.

მიერ გაუქმებულია ისეთი გარიგებები, რომლებიც თავისი ბუნებით არამართლებულ ტენდენციას ატარებდნენ.<sup>235</sup>

საერთაშორისო კერძო სამართალში საჯარო წესრიგის ცნება ფართოდ გამოიყენება და გულისხმობს, რომ შეიზღუდოს კოლიზიური ნორმის მოქმედება და გამორიცხოს უცხო ქვეყნის ისეთი ნორმის ან კანონის გამოყენება, რომელიც შეუსაბამოდ მიიჩნევა ქვეყნის საჯარო წესრიგისადმი.<sup>236</sup> ამასთან, საერთაშორისო კერძო სამართლის ევროპული დოქტრინა აღნიშნული ცნების ორ კონცეფციაზე მიუთითებს. პირველი მათგანი მოიცავს საჯარო წესრიგის პოზიტიური კონცეფციას, რომელიც საჯარო წესრიგის ცნებაში აერთიანებს სახელმწიფოში არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების და პრინციპების ერთობლიობას. აღნიშნული კი გამორიცხავს უცხო ქვეყნის კოლიზიური ნორმების გამოყენებას. რაც შეეხება მეორე კონცეფციას, კერძოდ, ნეგატიურ კონცეფცია ითვალისწინებს უცხოური ნორმების გამოყენებლობას, ნორმების თვისების საფუძველით.<sup>237</sup>

ზოგიერთ ავტორთა აზრით, სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწერსიგებლად საერთაშორისო კერძო სამართალში მოქმედი ინსტიტუტის გამოყენება არასასურველია.<sup>238</sup> ამასთან, ასეთი ინსტიტუტის გამოყენებამ შეიძლება შექმნას ტექნიკური და გამოყენების პრაქტიკული პრობლემები. აღნიშნულმა სხვაგვარი გაგება ჰპოვა იურიდიულ ლიტერატურაში, ვინაიდან საჯარო წესრიგი სამოქალაქო-სამართლებრივი მოწესრიგების სფეროში გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის მისი საერთაშორისო კერძო სამართალში აღიარებული შინაარსიდან გამომდინარე. გარიგების ბათილობის კონტექსტში იგი გულისხმობს არა საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტს, არამედ მის სხვაგვარ გაგებას. კერძოდ, სახელმწიფოში აღიარებული ფუნდამენტალური უფლებებისა და პრინციპების ერთობლიობას, რაც პირდაპირ არ მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ ან ზნეობრივ ნორმებს. კერძო პირთა ან მმართველ სუბიექტთა სახით წარმოდგენილი მოქალაქეების მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი ხელშეკრულებები ბათილია, რადგან ასეთი გარიგებები ეწინააღმდეგებიან საჯარო წესრიგს.<sup>239</sup>

საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული გარიგებები ინგლისური საერთო სამართლის მართლსაწინააღმდეგო გარიგებათა კატეგორიაში ექცევა. აღნიშნულის გათვალისწინებით გარიგება საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულად იქცევა მაშინ, როცა ნათელია მისი ტენდენციურობა საჯარო ინტერესის წინააღმდეგ.<sup>240</sup>

<sup>235</sup> Contract Void on Grounds of Public Policy, Harvard Law Review, Vol. 11, No. 2 (May 25, 1897), pp. 119-120.

<sup>236</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011, 116.

<sup>237</sup> *გაბისონია*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011, 124.

<sup>238</sup> *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 278.

<sup>239</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, 68.

<sup>240</sup> *Mansoor*, Contracts Contrary to Public Policy under English and Dutch Law, 1 EUR. J. COMP. L. & GOVERNANCE 297 (2014), 300.

შესაბამისად, ინგლისური სამართალი საჯარო წესრიგის ცნებას საჯარო ინტერესს უკავშირებს. ხშირ შემთხვევაში, მსგავს ვითარებაში გარიგების ბათილობის ორი საფუძველი არსებობს. პირველი მათგანი დამოკიდებულია ზოგიერთ პრინციპზე, რომელიც დაკავშირებულია სამართლებრივი სისტემის ღირსებასთან ან მოთხოვნასთან, ამასთან, დაკავშირებულია პირთა ბრალეულობასთან. ხოლო მეორე საფუძველი გარიგების ბათილობას უკავშირებს ისეთ ინსტიტუტს, რომელიც დაკავშირებულია საჯარო კეთილდღეობასთან.<sup>241</sup>

საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გარიგებათა ბათილობას ითვალისწინებს ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსი. რომლის თანახმადაც, ანუღირებულია ისეთი გარიგებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან „კარგ მორალს“. აღნიშნულის გათვალისწინებასთან ერთად მნიშვნელოვანია, როგორ შეიძლება იქნას გაგებული აღნიშნული ცნებები და რა ინტერპრეტაცია მიეცეს მათ. საჯარო წესრიგის ქვეშ, ერთი მხრივ, შეიძლება მოიაზრებოდეს ის განსაზღვრული პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო საზოგადოების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.<sup>242</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისური და ჰოლანდიური სამართალი საჯარო წესრიგს სახელმწიფოში არსებულ საჯარო ინტერესსა და შენარჩუნება განვითარებისათვის საჭირო პრინციპების ერთობლიობას უკავშირებს, რაც გარკვეულწილად მისაღები განმარტებაა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ქართულ ლიტერატურაში იგი უმეტესწილად საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტად განიხილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გარიგებათა ბათილობა, კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული სამართლის მიხედვით, გარკვეულწილად სხვადასხვაგვარი საფუძველით ხდება. მსგავს შემთხვევებზე სასამართლო პრაქტიკა მეტად მცირეა, რაც ართულებს აღნიშნული ნორმის მოცემულ კონტექსტში პრაქტიკულ გააზრებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, „საჯარო წესრიგის დარღვევაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება და სხვა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.“<sup>243</sup> რითაც იგი მსგავსებას ავლენს ინგლისურ სამართალთან. აღნიშნულ საქმეში საჯარო წესრიგის დარღვევას სასამართლო ფუნდამენტალური პრინციპების დარღვევას უკავშირებს, რაც გამოიხატა მოპასუხე მხარის მიერ ნივთის გაჩუქებით რითაც მოსარჩელეს ნასყიდობის ხელშეკრულების

<sup>241</sup> A Law and Economics Look at Contracts against Public Policy, Harvard Review, Vol. 119, No 5 (mar., 2006), pp. 1445-1466.

<sup>242</sup> *Mansoor*, Contracts Contrary to Public Policy under English and Dutch Law, 1 EUR. J. COMP. L. & GOVERNANCE 297 (2014), 305.

<sup>243</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის №ას-533-786-08 განჩინება.

საფუძველზე შეძენილი ქონების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა წაერთვა, რამაც, ფაქტობრივად, თავად საკუთრების უფლება გახადა აბსტრაქტული.<sup>244</sup> ამასთან უზენაესი სასამართლო შედარებით ახალ განჩინებაში<sup>245</sup> საჯარო წესრიგს მორალურ იმპერატივებსა და საჯარო ინტერესს უკავშირებს და განმარტავს, რომ „საჯარო წესრიგის ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. სსკ-ის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შეზღუდულია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული.“

#### 4. ზნეობის საწინააღმდეგო, ამორალური გარიგებანი

##### 4.1. ზოგადი მიმოხილვა

მესამე შემთხვევა, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის გათვალისწინებით გარიგება ბათილია თუ იგი არის ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ მიმართული. ზნეობა, როგორც ფასეულობა, რომლის დარღვევაც გარიგების ბათილად ცნობას იწვევს, მეტად ბუნდოვანი საკითხია იმ გაგებით, რომ ჩამოყალიბებული განმარტება, თუ რა არის ზნეობა და ზნეობის ნორმები არ არსებობს, აღნიშნული ფაქტი კი მისი პრაქტიკული გამოყენებისას მთავარი პრობლემაა.<sup>246</sup> ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მე-6 ნაწილის თანახმად გათვალისწინებულია, რომ აკრძალულია მხარეთა მიერ ისეთი გარიგების დადება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან „კარგ მორალს“.<sup>247</sup>

ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს ძველი რომაელები ბათილად მიიჩნევდნენ და მათ ასე უწოდებდნენ - *pacta contra bonos mores*. თუმცა კოდიფიცირებულად ანტიზნეობრიობის ცნება პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა განამტკიცა. ცხადია, ასეთ შემთხვევებში აღნიშნულს ვერ დავუკავშირებთ ზოგადი ზნეობისა და აბსტრაქტული მორალის ცნებებს. აღნიშნული უკავშირდება გაბატონებულ მორალს და საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობის ნორმებს.<sup>248</sup>

<sup>244</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის №ას-533-786-08 განჩინება.

<sup>245</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის, №ას-613-572-2017 განჩინება, 27; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის №ას-1184-1145-2016 გადაწყვეტილება.

<sup>246</sup> *კანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *კანტურია* (რედ.), 2017, მუხ. 54, 31-ე ველი.

<sup>247</sup> *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portland Oregon, 2002, 297.

<sup>248</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 354.

ზნეობა ნებისმიერ შემთხვევაში აბსტრაქტული ცნებაა,<sup>249</sup> რომელიც ფაქტებისა და ქცევის მიმართ პირთა ინდივიდუალური დამოკიდებულებების ერთობლიობით და მათ მიერ აღნიშნულის აღიარებით შეიძლება გამოიხატოს. ზნეობის განმარტებები მაინც გვხვდება იურიდიული ლიტერატურაში და ერთ-ერთ შემთხვევაში ასე ყალიბდება: „ზნეობა, ანუ მორალი, საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა, ისევე როგორც პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგია. ზნეობა გამოხატულია სათანადო ნორმებში, ქცევის წესებში, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა ურთიერთობას საზოგადოებაში. ზნეობის ნორმებში მოცემულია საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე ჩამოყალიბებული ადამიანთა წარმოდგენები წესიერებასა და უწყობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, საქებასა თუ დასაგმობზე, სინდისსა და პატიოსნებაზე და ა.შ. ამგვარი საზომით ადამიანთა ქცევის შეფასებას ზნეობის ნორმების მხრივ ადგილი აქვს როგორც პიროვნებათა შორის ურთიერთობაში, ისე მათ დამოკიდებულებაში ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი. ზნეობას, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ რეგულატორს, მთელი რიგი საერთო ნიშნები, მსგავსება ახასიათებს სამართლიან და, ამავე დროს არსებითად, მკვეთრად განსხვავდება მისგან.“<sup>250</sup>

აღნიშნულის შესაბამისად, ზნეობა პირთა მიერ გარკვეული ფაქტების მიმართ დამოკიდებულებებია და მისი განსაზღვრება მორალს უკავშირდება. მაგალითად, ფრანგულმა სამართალმა იგი იმთავითვე განამტკიცა, ვინაიდან ზოგიერთ განსაზღვრებაში ვალდებულის განმარტებაც პირთა მორალურ განწყობასთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი განმარტების თანახმად, ვალდებულება არის „მორალური კავშირი, რომელიც ადამიანებს შორის წარმოშობს ისეთ ურთიერთობებს, როგორსაც საფუძვლად უდევს ადამიანური ბუნება“.<sup>251</sup> ყოველი ადამიანური თუ სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეულწილად დაკავშირებულია პირთა მორალურ ვალდებულებებთან. ამის გათვალისწინებით, სასამართლო პრაქტიკა და იურიდიული ლიტერატურა, ზნეობის ნორმების წინააღმდეგ მიმართულ გარიგებებს სწორედ ამორალურ გარიგებებს უწოდებს. გარიგების ამორალურობა ყოველ კონკრეტულ საქმეში ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში<sup>252</sup> მიუთითებს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან მიმართებით და არა სუბიექტურად კონტრაქტის სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ.

<sup>249</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston*, THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portlanddm oregon, 2006, 253.

<sup>250</sup> *ინჟირველი*, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, 51-52; იხ. ციტატა: *ლუკაშვილი*, სიტყვის თავისუფლება და ზნეობა, სამართალი №5/2001, 29.

<sup>251</sup> *ჯულელი*, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005, 64.

<sup>252</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 25.

## 4.2. სამართალი და ზნეობა

ზოგიერთი ავტორის აზრით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სამართალსა და მორალს შორის კავშირი, რომელიც ურთიერთმიმართებაზე ახდენს გავლენას.<sup>253</sup> მორალს სამართლის თეორიაში სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, კერძოდ, იგი განიმარტება როგორც „შინაგანი ვალდებულება“, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს.<sup>254</sup> მორალური ნორმები პირებს ავალდებულებენ საზოგადოებაში აღიარებული წესწყობილებისა და შინაგანი კეთილსინდისიერების გათვალისწინებას. სამართლებრივ-ეთიკური პრინციპები კონსტიტუციითაა დადგენილი. ღირებულებები, რომლებიც სამართლებრივ-ეთიკურ პრინციპებში გამოიხატება სამართლებრივ წესწყობილებაშია დადგენილი, რაც კერძო სამართალში იმ ნორმებშია გათვალისწინებული, რომლებიც აბათილებს არაეთიკურ, ამორალურ გარიგებებს.<sup>255</sup> ამასთან მორალური ვალდებულებები ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო მოწესრიგებითაა გათვალისწინებული. ასეთი ნორმები ცხადყოფს, რომ მართლწესრიგი საზოგადოების ყოველ წევრს გარკვეულწილად ავალდებულებს კეთილსინდისიერებისა და მორალური ქცევის პრინციპების დაცვას. ამის მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლი, რომელიც დაკარგული ნივთის მპოვნელს დაუყოვნებლივ განუცხადოს ნაპოვნის შესახებ.

კანტი ერთმანეთისგან მიჯნავდა სამართლებრივ და ეთიკურ ვალდებულებას. იგი მიიჩნევდა, რომ სამართლებრივი ვალდებულება იყო გარეგანი, ხოლო ეთიკური შინაგანი. რაც იმას გულისხმობს, რომ სუბიექტზე სამართალი გარეგან ზემოქმედებას ახდენს, ხოლო ეთიკა მისი შინაგანი ხმაა.<sup>256</sup>

ქართული სამართალში ზნეობრივი შეფასებების პოსტულატები გათვალისწინებულია ზოგად გარიგებებსა და კონკრეტულ სახელშეკრულებო მოწესრიგებათა ნორმებში. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლი ითვალისწინებს გარიგების ისეთი პირობის ბათილობას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ზნეობრივი ნორმების დარღვევა გარიგების შინაარსიდან გამომდინარეობს. ვინაიდან გარიგების ამორალურობა სწორედ გარიგების ხასიათიდან გამომდინარეობს და რა იმ გარემოებებიდან, რომლებიც არსებობდა მის დადებამდე. გარიგების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი მოტივი და მიზანი. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ზნეობრივი ნორმების დარღვევის შეფასებისას მნიშვნელოვანია მისი დადების მომენტი. აღიარებული გამონაკლისისა: იმ გარემოებიდან, რომელიც ჯერ არ გაუქმებულა და უკვე მისი

<sup>253</sup> Raz, About Morality and the Nature of Law, 48 AM. J. JURIS. 1 (2003), 4.

<sup>254</sup> ზარანდია/ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №4/2006, 74.

<sup>255</sup> კროფკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 63, 2.

<sup>256</sup> ზოიძე, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა კრილში, ესსეები, თბილისი, 2013, 23.

მოქმედების ვადის განმავლობაში გახდა ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო, უფლებები ვერ წარმოიშობა.<sup>257</sup>

სამართლებრივი და ზნეობრივი საწყისები მით უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, რაც ინდივიდი სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოში არსებობისაკენ მიისწრაფვის. კანონის ფარგლებში მოქცეული მორალურობა და ზნეობრიობა იმ მორალის სამართლებრივი და შედეგობრივი გამოხატულებაა, რომელიც საზოგადოებაში, მისივე შეგნებიდან გამომდინარე ყალიბდება და მოითხოვს რეალიზდეს მის ყველა წევრზე. მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივად მოწესრიგებადი და დადგენადი მორალის ნორმები არ არსებობს, სამართალი ადგენს განზოგადებულ სადამცველო ობიექტს, რომელიც ზნეობად და მორალად იწოდება, ხოლო მისი პრაქტიკაში გამოხატულება და რეალიზება აღნიშნულ ღირებულებათა წინააღმდეგობრიობისას წარმოშობილი შემთხვევებისას განისაზღვრება. სამართალი იცავს რა მორალურ დამოკიდებულებებს ინდივიდთა შორის, იგი ეხება მის ობიექტურ გაგებასა და რეალიზებას, ბუნებით და სახელმწიფოში კონსტიტუციურად დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, იგი ვერ ჩაერევა ადამიანის პიროვნულ, სუბიექტურ საწყისებში და ვერ მოითხოვს ინდივიდთა კონკრეტულ ქცევას მანამ სანამ ასეთი ქცევა არ შელახავს საზოგადოების სხვა წევრისა თუ საერთო ინტერესის სფეროს.

სამართლებრივი სისტემის მიერ გასათვალისწინებელი ღირებულებები და ფასეულობები მრავალფეროვანია, ისინი ცვალებადია, ამასთან, არის საკითხები, რომლებიც მეტნაკლებად იცვლება დროსთან ერთად, რის გამოც ისინი ვერ იქნება კოდიფიცირებული სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. არსებობს ქმედებები, რომლებიც წლების წინ, თუნდაც საუკუნეების წინ ამორალურად ითვლებოდა, ახლა კი მიღებულია საზოგადოებისათვის. მაგალითად, შუა საუკუნეებში ამორალურად ითვლებოდა სიცოცხლის დაზღვევა, რადგან ეს სიცოცხლით სპეკულირებად და ამორალურ ქმედებად მიიჩნეოდა.<sup>258</sup> იმისათვის, რომ უარყოფილ იქნას სამართლებრივი ტრანზაქცია, რომელიც კომპანიის არაეთიკური პრინციპების მიხედვითაა განხორციელებული, სამართალში გათვალისწინებულია ზოგადი დებულება, რომლის მიხედვითაც ფასდება ძირითადი ღირებულების სტანდარტი - კეთილი ნება, კეთილსინდისიერება და მორალურობა.<sup>259</sup> ამ შემთხვევაში ფასდება შინაარსისა და მორალის წინააღმდეგობრიობა, მაგალითად გარიგება, რომელიც იდება პირთან რაიმე დანაშაულის ჩადენისთვის ან კონკრეტული სამართლებრივი ნორმის დარღვევისთვის.<sup>260</sup>

<sup>257</sup> *კროფჰოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 64, 4.

<sup>258</sup> *კანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 356.

<sup>259</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50, Aufl. 2019, § 138, Rn. 1.

<sup>260</sup> *ჯორბენაძე*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2/2011, 206.

#### 4.3. მორალური ღირებულებები და ამორალურობის კრიტერიუმები გარიგების ბათილობისას

ამორალური გარიგების პრაქტიკულ ჭრილში განხილვისას სასამართლო მას კეთილსინდისიერების პრინციპთან ბმაში განიხილავს. ამასთან, იგი განმარტავს,<sup>261</sup> რომ „სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ისევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება“.

ამორალური გარიგების ბათილობა დაკავშირებულია მის შინაარსთან და ხასიათთან, რომელიც მიუხედავად მათი კერძო პირებსა თუ კერძო და იურიდიულ პირებს შორის დადებისა აფერხებს სამოქალაქო ბრუნვას. ამორალური გარიგების კონკრეტული შემთხვევები ქართულ სამართალში ხშირად უკავშირდება სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დადებულ გარიგებებს. მაგალითად ისეთი შემთხვევები, როცა კერძო პირები ჩუქების ხელშეკრულებით უსასყიდლოდ გადასცემენ კუთვნილ ქონებას სახელმწიფოს, იმ პარალელური ქმედებების გათვალისწინებით, რომ მის ან მისავე ოჯახის წევრისა თუ ახლობელ პირზე მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>262</sup>

მორალური ღირებულებებისა და თავად მორალის არსი მსჯელობის საგანია ყველა მართლწესრიგსა და სამართალწარმოებაში. ამორალური გარიგება შეიძლება მიმართული იყოს როგორც ცალკეული პირების, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ.<sup>263</sup> სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტალური ძალა ინდივიდებისათვის სამართლებრივი ურთიერთობების თავისუფლად ჩამოყალიბებასა და შინაარსის განსაზღვრაში მდგომარეობს, რასაც, ფაქტობრივად გულისხმობს კერძო ავტონომიის პრინციპი. მიუხედავად ამ თავისუფლებისა იგი შეზღუდულია გარკვეული ფორმებით ყოველი მხარის ღირსების დაცვის მიზნიდან გამომდინარე. შესაბამისად, კერძო ავტონომია შემოიფარგლება მრავალი სავალდებულო დებულებითა და სამართლებრივი აკრძალვით. იურიდიული სტანდარტების შესაბამისად, სოციალური ურთიერთობების ორგანიზების მიზნით, სამართლებრივმა სისტემამ უნდა

<sup>261</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება, 19.

<sup>262</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის № ას-1220-1480-09 განჩინება.

<sup>263</sup> *ჯორბენაძე*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2/2011, 206.

გაითვალისწინოს საზოგადოებაში აღიარებული ფუნდამენტალური ღირებულებები.<sup>264</sup>

გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევა მაინც არ არის იოლი. მიუხედავად მრავალი მოსაზრებისა იგი ზნეობისა და მორალის გაგებას უკავშირდება. გერმანის სამოქალაქო კოდექსში 138-ე პარაგრაფის ძირითადი მიზანია თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გარიგებების ნამდვილობა, რომლებიც სამართლებრივ საზოგადოებასთან შეუთავსებლები არიან და ეთიკურ საფუძვლებს ეწინააღმდეგებიან. თუმცა აღნიშნული ნორმა არ ემსახურება ეთიკური მოთხოვნების პოზიტიური რეალიზაციით მორალის ამომწურავ აღსრულებას.<sup>265</sup>

მართლწესრიგში ამორალურობის კრიტერიუმები არ არის დადგენილი და საკამათოა რა შეიძლება ჩაითვალოს მის საწინააღმდეგოდ, როცა მორალი და ზნეობა ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმია.<sup>266</sup> ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები ამორალურობის კრიტერიუმად მიიჩნევენ შესრულებისა და საპასუხო შესრულების არაექვივალენტურობას.<sup>267</sup> თუმცა აღნიშნული მსჯელობისა საწინააღმდეგო განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე.<sup>268</sup> მრავალი ქვეყანა ბათილად მიიჩნევს, სწორედ ისეთ გარიგებებს, რომლებში მხარეთა ვალდებულებები დისპროპორციულია და იგი დადებულია მეორე მხარის გონივრული განსჯის უუნარობით, ნების მნიშვნელოვანი სისუსტით, მძიმე მდგომარეობით და ა.შ.<sup>269</sup> ამასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ განმარტებულ საქმეზე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიუთითებს, რომ „სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნის გაზიარება, რომ „საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის“, რათა გარიგება ამორალურად იქნეს მიჩნეული, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე“.<sup>270</sup>

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გარიგების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს მისი შინაარსი და არა რომელიმე მხარის მიერ ნაკლიანი ნების გამოხატვა. ანუ, გარიგების ბათილობის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ მხარეთა მიერ გამოხატული ნება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ამკრძალავს ნორმებს. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ზნეობის საწინააღმდეგო ნების გამოვლენის დროსაც.

<sup>264</sup> *Wendtland*, in BeckOK BGB, 50, Aufl. 2019, § 138, Rn. 1.

<sup>265</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2018, § 138, Rn. 1.

<sup>266</sup> *ზარანდია/ჯულელი*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №4/2006, 76.

<sup>267</sup> *ზარანდია/ჯულელი*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №4/2006, 77.

<sup>268</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

<sup>269</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

<sup>270</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 208.

იმის გამო, რომ აღნიშნული კატეგორია ერთგვარად სამართლებრივი და ზნეობრივი წესრიგის გამიჯვნას ახდენს და კონკრეტული გარიგების ამორალურად კვალიფიკაციის მასშტაბად სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისთავად შეფასებითი არეალის დაუსაბუთებელი გაფართოების საფრთხეს შეიცავს, შეუძლებელია მისი გამოყენებაც უშუალოდ სამართლებრივ სივრცეში არსებული ფასეულობების მითითების გარეშე.<sup>271</sup>

გასათვალისწინებელია, რომ გარიგების გაბათილებამ ხელი არ შეუშალოს სამოქალაქო ბრუნვას და დაცული იყოს გარიგების გაბათილებით მოტანილი ზიანისა და ზნეობრიობის დაცვის ხარისხის ურთიერთშესაბამისობა. ამდენად, გარიგება უნდა გაბათილდეს და ზნეობის საწინააღმდეგოდ ჩაითვალოს, როცა აღნიშნული სამართლებრივად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს და გარიგებით დარღვეულია სამართლებრივად მნიშვნელოვანი ინტერესები.<sup>272</sup> თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თუ გარიგება დიდად არ არღვევს საზოგადოებრივ ინტერესებსა და აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს იგი ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ. აქ განმსაზღვრელია ის გარემოება, რომ გარიგების ამორალურად აქცევს მისივე შინაარსის დაპირისპირება სოციალურად აღიარებული ზნეობრივი ნორმებთან და მორალთან წინააღმდეგობრიობა. ხოლო, თუ გარიგება შინაარსობრივი და მისი სამართლებრივი განმარტებითი იდეით ამორალურია დაუშვებელია მისი გაუბათილებლობა.

სამართალი და მორალი განსხვავებული ცნებებია, თუმცა სამართალი ყოველთვის ცდილობს პირთა ურთიერთობების მოწესრიგებისას მათ აიძულოს მორალურად და ზნეობრივად მოქმედება. ფრანგი იურისტი, დომა პირველი იყო, რომელიც თავის ნაშრომებში ვალდებულებებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა. ხოლო მისი თეორიები ღმერთსა და მორალზე წარმოდგენებს ეფუძნება.<sup>273</sup> მორალურად ქცევის სამართლებრივი „იძულება“ ვალდებულებით ურთიერთობებში უკეთ გამოიხატება. რადგან ურთიერთვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება სწორედ პირთა მორალურ განცდებსა და ქცევებზეა დამოკიდებული. აღნიშნულის გათვალისწინებით ვალდებულება ისეთი კავშირია, რომელიც მოითხოვს პირთა ურთიერთნდობას, ხოლო, ხელშეკრულების პირობებში თავისთავადაა გამოხატული მორალური ქცევის სავალდებულობა.<sup>274</sup> ამასთან, მორალურობის<sup>275</sup> ზემოაღნიშნული ცნება საკმაოდ შეზღუდული იყო ფრანგულ სამართალში, ვიდრე

<sup>271</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის №28/6052-15 განჩინება.

<sup>272</sup> ზარანდია/ჯუღელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №4/2006, 77.

<sup>273</sup> ჯუღელი, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005, 66.

<sup>274</sup> ჯუღელი, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005, 66.

<sup>275</sup> Beale/Kötz/Hartkamp/Tallon, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portland Oregon, 2002, 297.

გერმანიისა და სხვა ქვეყნების სამართალში და მოიცავდა სქესობრივ ამორალურობას ანდაც ოჯახური ცხოვრების არათანმიმდევრულ პრინციპებს.

მორალის სავალდებულოობას სამართალში მრავალი თეორია უსვამს ხაზს, მაგალითად რონალდ დვორკინი ამტკიცებდა, რომ იგი სამართლებრივ აზროვნებაში არსებით და არადისკრეციულ როლს თამაშობს.<sup>276</sup> დისკრეცია პირისათვის უფლების მინიჭებაა, როცა მას აქვს თავისუფალი ნება გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლო მოქმედებებიდან განახორციელოს ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი მოქმედება. ზემოაღნიშნული მოსაზრების თანახმად, სამართლებრივად სავალდებულოა მორალური პრინციპების გათვალისწინება, სწორედ ამიტომ მიუთითებს იგი მორალის გამოყენების არადისკრეციულ საფუძვლებზე. მათი სავალდებულოობა სამართლებრივ ნორმებში გამოხატული. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ პოზიტისტიკების ნაწილი მას არ აღიარებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მორალური სტანდარტები ყველა განვითარებული სამართლებრივი სისტემის ნამდვილობის კრიტერიუმებისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა იგი შემთხვევითი ხასიათისაა. რადგან ადვილი წარმოსადგენია სამართლებრივი სისტემა მორალური პრინციპების გარეშე.<sup>277</sup> ბოლოს აღნიშნული მოსაზრება, ვფიქრობ, არ არის გასაზიარებელი, რადგან მორალი და სამართალი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სამართალი თავისი არსით მორალურ საწყისებს უკავშირდება და მისი საშუალებით კერძო თუ საჯარო ურთიერთობები კეთილსინდისიერების პრინციპის ღრმა გააზრებითა და გათვალისწინებითაა დარეგულირებული. ურთიერთობათა რეგულირება სამართლებრივი სისტემისა და სამართლებრივი ნორმების დახმარებით, გარკვეულწილად გამოიწვია მორალური, ზნეობრივი ნორმების უკმარისობამ. საზოგადოებრივი ცხოვრების კვლადაკვალ ადამიანის პიროვნული და ინდივიდუალური საწყისების განვითარებამ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის გახშირება წარმოშო, რასაც რეალური შედეგი - სასჯელი არ მოჰყვებოდა.<sup>278</sup> აღნიშნული გადახვევები გარკვეულ შემთხვევებში საზოგადოების სოციალური განვითარების დეგრადაციას იწვევს, რაც დაუშვებელია ადამიანის, როგორც ინდივიდის სრულფასოვანი განვითარების დაუძლეველი სურვილის გათვალისწინებით.

თანამედროვე საზოგადოებაში დაფუძნებული ფასეულობათა საერთო სისტემის ჭრილში სამართალი უნდა პასუხობდეს მორალის მოთხოვნებს. იგი მის ნებისმიერ გამოვლინებაში, როგორც ნორმატიული სისტემა განმსჭვალული უნდა იყოს ზნეობრივობითა და მორალურობით, რაც მისი ეფექტიანობის განმსაზღვრელია. იგი, ფაქტობრივად, „ღრმა მორალური წესრიგის მოვლენაა და მისი ფუნქციონირება

<sup>276</sup> გოგელია, სამართალი, ავტორიტეტი და მორალი თანამედროვე სამართლებრივ პოზიტისტიკაში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005, 89.

<sup>277</sup> გოგელია, სამართალი, ავტორიტეტი და მორალი თანამედროვე სამართლებრივ პოზიტისტიკაში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005, 89.

<sup>278</sup> ლუკაშვილი, სიტყვის თავისუფლება და ზნეობა, სამართალი №5/2001, 29.

შეუძლებელი ხდება სამართლის ერთიან ქსოვილში მორალური კრიტერიუმებისა და შეფასებების პირდაპირი ჩარევის გარეშე.<sup>279</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსი ყველა გარემოებისა და ფაქტორის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს. ამორალურობა შეფასებითი კატეგორიაა და სასამართლომ დავის წარმოების ეტაპზე უნდა შეაფასოს გარიგების შინაარსი და შეაფასოს მისი ურთიერთდამოკიდებულება აღიარებულ მორალურ სტანდარტებთან და საჯარო წესრიგთან, რომელთა წინააღმდეგობამაც საფუძველია გარიგების ბათილობისა.<sup>280</sup> ვინაიდან განმარტებისას მხედველობაში არ მიიღება მარტოდენ ნების გამოვლენის სუბიექტის დამოკიდებულება მორალურობისა და ზნეობისადმი. მნიშვნელოვანია, რომ თავად გარიგება არღვევდეს ზნეობის ნორმას და არა მხარეთა ქვენაგრძნობა, რომელიც გააჩნდათ გარიგების დადებისას. მაგალითად, როცა პირი ფულს სესხულობს რათა ბორდელი გახსნას, მიუხედავად მოტივის ამორალურობისა, გარიგება თავისი შინაარსით არ წარმოადგენს ამორალურს,<sup>281</sup> რადგან სესხის ხელშეკრულება თავისი შინაარსით მორალურად გაუმართლებელი არ არის. თუმცა სხვაგვარი შეფასება მიეცემა ისეთ გარიგებას, რომლითაც პირი ფართს აქირავებს იმავე მიზნებისათვის.<sup>282</sup> თუმცა აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ფართის პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემა თავის მხრივ სისხლისსამართლებრივი დანაშაულია.<sup>283</sup> რაც წარმოშობს როგორც ამორალურობის, ისე გარიგების კანონსაწინააღმდეგობის შემადგენლობას.

მორალურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან ზნეობის არსი გამომდინარეობს კონსტიტუციური ღირებულებებიდან, რომელთა გარშემო არ არსებობს ღირებულებითი სისტემა და ამასთან, მართლწესრიგი/ღირებულებითი სისტემა არის ერთიანი, რომელიც უნდა განიმარტოს კონსტიტუციური ღირებულებების შესაბამისად. ხოლო აღნიშნული ტერმინის მიერ გამოწვეულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიჩნეულია, ის, რომ ის შეიძლება განმარტებულ იქნეს კონსტიტუციური ღირებულებების საწინააღმდეგოდ.<sup>284</sup>

გარიგების ამორალურობასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო ზოგიერთ გადაწყვეტილებაში<sup>285</sup> მიუთითებს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში

<sup>279</sup> *მოსულიშვილი*, სოციალური მოვლენების - სამართლისა და ზნეობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, სამართალი, №5/2001, 81.

<sup>280</sup> *Beale/Kötz/Hartkamp/Tallon*, CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portland Oregon, 2002, 295.

<sup>281</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 54, 181.

<sup>282</sup> *ზოიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 54, 181.

<sup>283</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>284</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 24 თებერვლის №1/679 არსებითი სხდომის ოქმი.

<sup>285</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება, 7.9; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №ას-1230-2018 განჩინება, 18.9.2.

მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.<sup>286</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის თუმცა თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ამასთან, ამორალური გარიგების გამაბათილებელ ნორმას არ გააჩნია ავტონომიური ფუნქცია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. ამასთან, მარტოოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენებას, დიდი პალატა არასაკმარისად მიიჩნევს, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს.<sup>287</sup>

მიღებული მოსაზრებაა, რომ გარიგების მიმართ ამორალურობის ფაქტის დადგენა არ არის სასამართლოს ბერკეტი, საზოგადოებას თავს მოახვიოს მისი თავლსაზრისით არსებული მორალური ღირებულებები. მან უნდა გამოიყენოს ფართოდ აღიარებული და მიღებული ღირებულებები.<sup>288</sup>

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ გარიგების ამორალურობა დროსა და სივრცეში არსებულ ღირებულებათა და საზოგადოებაში გაბატონებული ობიექტური მიმართებების დამოკიდებულებებით განსაზღვრება, იგი ეხება, როგორც საჯარო ინტერესს, ისე საზოგადოებრივ მართლწესრიგსა და „გაბატონებულ მორალს. მნიშვნელოვანია, საზოგადოები ერთსულოვანი დამოკიდებულება სამართლებრივად და სოციალურად მორალური მნიშვნელობების მიმართ აღიარებულ სტანდარტებზე.<sup>289</sup> ხოლო, მორალურთან და ზნეობრივ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა ყოველ კონკრეტულ დავაში ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ხდება.

## VI იძულებით დადებული გარიგების გამიჯვნა ამორალური გარიგებისგან

### 1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ ამორალურ გარიგებასა და იძულებით დადებულ გარიგებას შორის არსებობს გადაკვეთის წერტილები, როცა იძულებით დადებული გარიგება მისი დადების საშუალების გათვალისწინებით მოიცავს ამორალურობის კომპონენტს, თავის მხრივ, ამორალური

<sup>286</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 31 მარტის №ას-501-475-2015 განჩინება.

<sup>287</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება, 208.

<sup>288</sup> *Markesinis/Unbertath/Johnston, THE GERMAN LAW OF CONTRACT*, oxford and portlandndm oregon, 2006, 253.

<sup>289</sup> Medien/Müller, Spindler/Schuster Elektron, BGB, 3. Aufl. 2015, § 138 Rn. 5.

გარიგება შეიძლება იყოს იძულებით დადებულიც, რომელიც არამხოლოდ მოიცავს იძულების გათვალისწინებულ ამორალურობის ელემენტს, არამედ გარკვეული ფაქტორებიდან გამომდინარე, სრულიად ამორალურია და ბათილობას სწორედ ამ საფუძვლით ექვემდებარება.

სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი ამოცანაა პრაქტიკულად განხორციელდეს სახელშეკრულებო სამართლიანობა, დაიცვას სუსტი მხარე, დაავალდებულოს მხარეები გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და წახალისონ იგი. სახელშეკრულებო ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობასა და კეთილსინდისიერებას.<sup>290</sup> იძულებასთან დაკავშირებული თეორიები გარკვეულწილად ყოველთვის შეიცავს მორალურ გამართულობაზე მინიშნებებს.<sup>291</sup>

ნორმა, რომელიც ადგენს გარიგების ბათილობას იძულებით დადების შემთხვევაში, სპეციალურია და უპირატესობა ენიჭება ამორალური გარიგების გამაბათილებელ ნორმასთან მიმართებით. აღნიშნული უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ თუ გარიგება დაიდო მართლსაწინააღმდეგო მუქარით და მისი ამორალურობა მხოლოდ და მხოლოდ ნების თავისუფლების დაუშვებელ მოდრეკაში გამოიხატა, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლისა და გერმანული სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფის გაგებით იძულება<sup>292</sup> და იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მხოლოდ აღნიშნული ნორმის საფუძვლით და არა ამორალურობის საფუძვლით. თუმცა, თუ მართლსაწინააღმდეგო იძულებით განხორციელებულ ზეგავლენას დაემატება კონკრეტული გარემოებები, რომლებიც გარიგებას აქცევს ამორალურად, მისი საყოველთაო ხასიათიდან გამომდინარე, მისი ბათილობა ამორალურობის საფუძვლით შესაძლებელი იქნება ინდივიდუალურ საქმეებში.<sup>293</sup> შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარიგების ამორალურობა მარტოდენ მართლსაწინააღმდეგო იძულებით ნების მოდრეკაში გამოიხატა, სხვა შემთხვევებში, გარიგების გარშემო არსებული გარემოებების ყოვლისმომცველი შეფასება უნდა განხორციელდეს ამორალური გარიგების მომწესრიგებელი ნორმის შესაბამისად. ამგვარი შეფასებისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნას პირზე განხორციელებული ზეწოლისას არსებული მდგომარეობაც.<sup>294</sup> არსებობს თეორიები, რომლებიც იძულებას მორალს უკავშირებენ. იძულების ტრადიციული თეორია მეტად მიმზიდველია იმის გამო, რომ იგი განასხვავებს ნებაყოფლობითობას და იძულებას, როგორც მორალურ გადაწყვეტილებაზე ემპირიული შემთხვევა. მორალური თეორიის თანახმად, იძულების დადგენა არ შეიძლება მხოლოდ პირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ემპირიული დაკვირვებით. ამისგან განსხვავებით, ნაწილობრივ მორალური თეორია, ფაქტობრივად, წარმოადგენს ზემოაღნიშნულ თეორიათა გაერთიანებას, რომელიც მიმართულია იძულების მიმართ პირის

<sup>290</sup> *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 294.

<sup>291</sup> *Stewart*, formal approach to contractual duress, *University of Toronto Law Journal*, 47(2), (1997), 223.

<sup>292</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 119. იხ. ციტირება: *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, *civilcode.ge*, მუხ. 85, 29-ე ველი.

<sup>293</sup> *Wendtland*, in *BeckOK BGB*, 50. Aufl. 2019, § 128 Rn. 5.

<sup>294</sup> *Müko/Armbrüster*, BGB, 8. Aufl. 2019, § 123 Rn. 131.

ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებასა და, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ნორმატიული ზღვარიც.<sup>295</sup>

ხელშეკრულება შეიძლება იყოს ბათილად მიჩნეული, როდესაც ის ნამდვილი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით, პირის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენების ან სხვა მსგავსი გარემოებების შედეგად არის დადებული. ასეთი გარიგება არ შეესაბამება კონსტიტუციით დადგენილ მართლწესრიგს, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის ღირსებასთან, მის ავტონომიასთან.<sup>296</sup>

## 2. იძულებით დადებულ და ამორალურ გარიგებათა გამიჯვნის კრიტერიუმები

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ზნეობის დამატებითი კრიტერიუმის არარსებობის შემთხვევაში გარიგების ბათილობის საზომად ზნეობის ნორმების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის,<sup>297</sup> რაც იმთავითვე არამართებულია, ვინაიდან გარიგება ზნეობის საწინააღმდეგოდ მაშინ უნდა იქნას აღიარებული, როცა აღნიშნული სამართლებრივად აუცილებელია და იგი არღვევს იურიდიული მნიშვნელობის ინტერესებს. რადგან, როცა საზოგადოება კანონმდებლობის მეშვეობით აიგივებს უზნეობას დანაშაულთან, მაინც რჩება ზნეობის სფერო, რომელზე კონტროლიც ვერ ხელეწიფება კანონს. აღნიშნული ადასტურებს, რომ შეუძლებელია შეიქმნას ეფექტური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ამორალური ქმედებების ყველა სფეროს.<sup>298</sup> სამართალში მორალური საწყისების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იძულების დადგენასთან მიმართებით. მაგალითად, შეთავაზების იძულებისაგან გასარჩევად, რეალურად, მორალურობის გათვალისწინებაა საჭირო.<sup>299</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გარიგების შემადგენლობა და შინაარსი, როგორც მის დასადებად გამოყენებული გზები და შინაარსობრივი მხარე ამორალურობის ჭრილში. ისეთ შემთხვევაში, როცა გარიგებაში არ არის ამორალურობის დამატებითი ელემენტი, გამოიყენება იძულებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმები. აღნიშნული ელემენტი არ არის სახეზე, მაგალითად, მაშინ, როცა ხელშეკრულების დადებამდე მაიმულებელი თავდებს ატყობინებს და აღუწერს მისი პასუხისგებაში მიცემის საფრთხეს, თუ არ შესრულდება ვალდებულება. უზნეობისა და ამორალურობის დამატებითი ელემენტის წარმომქმნელი არ არის ის ფაქტი, რომ თავდებობის თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პირის ფინანსურ შესაძლებლობებს.<sup>300</sup> ზოგიერთი

<sup>295</sup> Hill J.L., A Utilitarian Theory of Duress, 84 IOWA L. REV. 275 (1999), 300-301.

<sup>296</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება, 70.

<sup>297</sup> კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 280.

<sup>298</sup> ზარანდია/ჯულელი, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, N4/2006, 77, 83.

<sup>299</sup> Stewart, formal approach to contractual duress, University of Toronto Law Journal, 47(2), (1997), 232.

<sup>300</sup> BGH NJW 1988, 2601. იხ. ციტირება: რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, 29-ე ველი.

ავტორის<sup>301</sup> აზრით, იძულების სამართლებრივ და მორალურ კონტექსტში გამოხატულებისას დიდი განსხვავება არ იკვეთება. თუმცა ასეთი შეფასება არამართებული იქნებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართალი ღრმა მორალურ მოვლენასთან ერთად გარკვეულწილად განცალკევებულ სუბსტანციას წარმოადგენს.

გარკვეული ქმედებები შეიძლება იყოს ამორალური, თუმცა არა მართლსაწინააღმდეგო. მაგალითად, სექსუალური კავშირი თანხის სანაცვლოდ, რომელიც მეგობრობით გრძელდება შეიძლება იყოს ამორალური, თუმცა არა მართლსაწინააღმდეგო.<sup>302</sup> ზოგიერთი მოსაზრებით, სრულიად ალოგიკურია მართლწესრიგმა უკარნახოს ინდივიდს მორალურობის კრიტერიუმები. თუმცა იძულების შემთხვევაში, მიუხედავად აღნიშნული

ზემოაღნიშნულ გარიგებათა გამიჯვნისას, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ იძულებით დადებული გარიგება თავის თავში ყოველთვის მოიცავს ამორალურობის ელემენტს, რომელიც იძულების, როგორც საზოგადოებისაგან დასაგმობი ქმედების საშუალებით გარიგების დადებაში გამოიხატება. თუმცა ერთმანეთისაგან გამიჯნულ უნდა იქნას გარიგების ამორალურობის ელემენტი მხოლოდ მისი დადების საშუალების კონტექსტში და თავად გარიგების შინაარსისა და საზოგადოებრივ, საჯარო ინტერესთან და მორალურ-ეთიკურ ნორმებთან შეუთავსებლობა.

### **3. იძულებით დადებული და ამორალურ გარიგებათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა**

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ დავებში, რომლებშიც სასარჩელო მოთხოვნა დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებზე, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის დასრულების შემთხვევაში გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და სადავო გარიგება ამორალურად არის მიჩნეული.<sup>303</sup> აღნიშნული გამოწვეულია იძულების, როგორც საზოგადოებრივად დასაძრახი ქმედების ამორალური ხასიათით, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ის დამატებითი ამორალურობის ელემენტი, რომელიც იძულებით დადებულ გარიგებას მთლიანობაში ამორალურად და უცილოდ ბათილ გარიგებად აქცევს.

<sup>301</sup> Alan Wertheimer, იგი ავითარებს მსჯელობას იძულების მორალური მიმართებების შესახებ სამართლებრივი და ფილოსოფიური კუთხით.

<sup>302</sup> Stewart, formal approach to contractual duress, University of Toronto Law Journal, 47(2), (1997), 234.

<sup>303</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის №ას-271-271-2018 განჩინება; სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის №28/4686-13 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №ას-1230-2018 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება, 2016 წლის 01 მარტის №ას-15-15-2016 და სხვა.

როგორც წესი, ხელშეკრულების ნამდვილობის/ბათილობის საკითხი აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე. შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართლის ნორმები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ერთი პირის მოთხოვნის საფუძველზე მეორის მიმართ იძულების გამოყენების მექანიზმს. ამდენად ხელშეკრულების ბათილობის საფუძველების განსაზღვრა, არსობრივად, მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფოს მიერ პირის ნების ავტონომიის, მისი მოქმედების თავისუფლების შეზღუდვისაგან.<sup>304</sup>

იძულებით გარიგებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება უზენაესმა სასამართლომ უარყო<sup>305</sup> და მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებაზე, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, უზენაესმა სასამართლომ ცალსახად მცდარად მიიჩნია, ვინაიდან, ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს.

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>306</sup> უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარი მართებულადაა დაკმაყოფილებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველით, იმ გარემოების არსებობისას, რომ საკრებულოსათვის გადაცემული ქონების მესაკუთრეს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას არ გააჩნდა გარიგების დადების ნამდვილი ნება. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხის მიერ არ იყო სათანადო შესაგებელი წარმოდგენილი მოსარჩელის მიერ მითითებულ იძულების ფაქტზე, რაც ადასტურებდა მოსარჩელეზე იძულების განხორციელების ნამდვილობას და გარიგება, აღნიშნულის გათვალისწინებით ბათილია, როგორც ამორალური.<sup>307</sup> ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით სახეზეა როგორც იძულება, ისე ამორალურობა, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი 54-ე მუხლია.

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუხედავად იძულების ფაქტის დადგენისა სასამართლოს განმარტებით ამორალურობაც გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ

<sup>304</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება, 40.

<sup>305</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

<sup>306</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება.

<sup>307</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება, 30-34.

იძულებით დადებულ გარიგებას, იძულების ამორალური ხასიათის გათვალისწინებით ამორალურობის დამატებითი ელემენტი აქცევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მესამე ვარიანტით ბათილ გარიგებად. მოცემულ შემთხვევაში, ამორალურობის დამატებით ელემენტად, შეიძლება ჩაითალოს, ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ იძულების საფუძველზე განხორციელდა ქონების მიღება, იმ პირობებში, რომ გამჩუქებელზე პროკურატურის მხრიდან განხორციელდა იძულება მისთვის თავისუფლების აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემის მუქარით, თუმცა გამჩუქებლისთვის გაურკვეველი იყო თუ რა საფუძველით უნდა მომხდარიყო მისი დაკავება.<sup>308</sup> აღნიშნული ფაქტის ამორალურობის კონტექსტში შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარიგების ისეთ პირობებში დადება, როცა სახელმწიფო პირდაპირი იძულებით ცდილობს მიიღოს ქონება მოქალაქისაგან ამორალურია იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობს თავისი, როგორც ძლიერი მხარის უპირატესობით შეუქმნას პირს ისეთი პირობები, რომ იძულებული შეიქმნას დასთანხმდეს გარიგებას, მითუმეტეს, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამჩუქებელს არ გააჩნდა რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება სახელმწიფოს მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელება ცალსახად ამორალურია, როცა მის მიერ იძულების საშუალებით უსასყიდლოდაა მიღებული ქონება, როცა აღნიშნული გარიგება არ ემსახურება სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას.<sup>309</sup>

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გარკვეულწილად არათანმიმდევრულია მსგავს საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, 2015 წელს მიღებულ განჩინებაში, თითქმის იდენტური გარემოებების არსებობისას უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგან ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი, სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 85-86 (1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა იყო განხორციელებული, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური შემადგენლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი (სსკ-ის 85-86(1) მუხლები).<sup>310</sup> კიდევ ერთ თითქმის იდენტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას სასამართლომ დადებული გარიგება მიიჩნია საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ და მიუთითა, რომ გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა „საჯარო წესრიგი“.<sup>311</sup> ამ შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს აქცენტი არ გაუკეთებია გარიგების ამორალურობაზე, თუმცა შემდგომ წლებში

<sup>308</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის № ას-224-213-2017 განჩინება, 7.

<sup>309</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, civilcode.ge, მუხ. 85, 29-ე ველი.

<sup>310</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინება, 24.

<sup>311</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 07 ივლისის №ას-613-572-2017 განჩინება, 28.

განვითარებული სასამართლო პრაქტიკა მსგავს შემთხვევებში გარიგებას, როგორც წესი, ამორალურ გარიგებად მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოები საქმეზე გადაწყვეტილებას იღებენ სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე და საკასაციო ინსტანციის სასამართლო ერთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენებას, მეორე შემთხვევაში კი საქმეს „უცვლის საფუძველს“ და დავის საგანს აფასებს რა როგორც იძულებით დადებული საცილო გარიგების ბათილობად. ამ შემთხვევაში, მართებული იქნებოდა სასამართლოს მიერ გაკეთებულიყო განმარტებები ამორალურობის დამატებითი ელემენტის თაობაზე.

## VII დასკვნა

ნაშრომში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა იძულებით დადებული და ამორალური გარიგების ძირითადი თავისებურებები, მათან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა და აღნიშნულ გარიგებათა ურთიერთმიმართება.

ნაშრომში განხილული სამართლებრივი ინსტიტუტების და მათ შორის არსებული მიმართების შეფასებამ საშუალება მოგვცა თეორიული და პრაქტიკული კუთხით წარმოგვეჩინა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მართლსაწინააღმდეგო იძულება, რომელიც ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვის ძირითადი წყარო და გარიგების საცილობის საფუძველი, პრაქტიკულად რეალიზდება სასამართლო პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ შეცილების განსახორციელებლად საჭიროა ნამდვილი შეცილება, რაც არ გულისხმობს აუცილებლად სასამართლოსათვის მიმართვას, გარიგების შეფასებისას იძულების ფაქტის დადგენას სასამართლო ახორციელებს. აღსანიშნავია სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილი ისეთი მიდგომები, რომელთა თანახმად, იძულების ფაქტი სამართლებრივი შეფასების კატეგორიაა. თუმცა აღნიშნული შეფასებისას, ზოგ შემთხვევაში, სასამართლო ყურადღებას არ ამახვილებს იძულების სერიოზულობის არარელევანტურობასა და იძულების მიმართ პირის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.

აღსანიშნავია, სასამართლოს ბოლო დროს განვითარებული პრაქტიკა იძულებით დადებულ და ამორალურ გარიგებებთან მიმართებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებულ მსგავს საქმეთა უმეტესობა შეეხება სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის დადებულ გარიგებებს, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც „ძლიერი“ მხარის მონაწილეობის შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ იძულების ფაქტზე მითითებისას პრეზუმირებულია სახელმწიფოს მხრიდან იძულების ფაქტი. ხოლო ხელშეკრულების „ძლიერი“ მხარისაგან ისეთი ქმედების განხორციელება ცალსახად ამორალურადაა მიჩნეული, როცა მის მიერ იძულების საშუალებით უსასყიდლოდაა მიღებული ქონება და გარიგება არ ემსახურება სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას. ამის გათვალისწინებით, სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულწილად ღიად რჩება კერძო პირებს შორის იძულებით დადებული გარიგებების ბათილობის საკითხი.

რაც შეეხება იძულებით დადებული და ამორალური გარიგებების გამიჯვნას, გარიგებათა თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ იძულებით დადებული გარიგება თავის თავში ყოველთვის მოიცავს ამორალურობის ელემენტს, რომელიც იძულების, როგორც საზოგადოებისაგან დასაგმობი ქმედების საშუალებით გარიგების დადებაში გამოიხატება. თუმცა, ერთმანეთისაგან გამიჯნულ უნდა იქნას გარიგების ამორალურობის ელემენტი მხოლოდ მისი დადების საშუალების კონტექსტში და თავად გარიგების შინაარსისა და საზოგადოებრივ, საჯარო ინტერესთან და მორალურ-ეთიკურ ნორმებთან შეუთავსებლობა. ამასთან მიმართებით, გარკვეულ შემთხვევებში პრობლემურია სასამართლო პრაქტიკაში ზემოაღნიშნული ამორალურობის ელემენტის გამოყოფის საკითხი, რაც, ფაქტობრივად, იშვიათად ხორციელდება. შესაბამისად, პრობლემურია სასამართლოს მიერ იძულებისა და ამორალურობის ურთიერთმიმართების განხილვის საკითხი, რა დროსაც, რეალურად, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა გარემოება, მტკიცების ტვირთის გადანაწილებისა და პრეზუმირებული ფაქტების, ასევე განხორციელებული ქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, გარიგებაში არსებული ამორალურობის დამოუკიდებელი ელემენტის არსებობის საკითხი და აღნიშნულის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.

## ბიბლიოგრაფია:

1. სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი. ([www.civilcode.ge](http://www.civilcode.ge); [www.gccc.ge](http://www.gccc.ge))
2. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.
3. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000.
4. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.
5. ავტორთა კოლექტივი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017.
6. ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2002.
7. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009.
8. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2011.
9. თუმანიშვილი გ., გარიგებები, თბილისი, 2012.
10. ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესსეები, თბილისი, 2013.
11. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005.
12. რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ., სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019.
13. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001.
14. კროფჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014.

15. ზარანდია თ., ჯუღელი თ., ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი №4/2006.
16. გოგელია გ., სამართალი, ავტორიტეტი და მორალი თანამედროვე სამართლებრივ პოზიტივიზმში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005.
17. მოსულიშვილი მ., სოციალური მოვლენების - სამართლისა და ზნეობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, სამართალი, №5/2001.
18. ლუქაშვილი ზ., სიტყვის თავისუფლება და ზნეობა, სამართალი №5/2001.
19. ჯუღელი თ, მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში, ადამიანი და კონსტიტუცია, №4/2005.
20. ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2/2011.
21. კიკოშვილი ს., ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008.
22. ქოჩაშვილი ქ., ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი №2/2016.
23. ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016.
24. Unberath H., Markesinis B., Johnston A., THE GERMAN LAW OF CONTRACT, oxford and portland oregon, 2006.
25. Turner Ch., Contract Law, second edition, 2007.
26. Beale H., Kötz H., Hartkump A., Tallon D., CONTRACT LAW, casebook on the common law of europe, oxford and portland oregon, 2002.
27. Heinrich Dörner/HK-BGB, 10. Aufl. 2019.
28. Müko/Armbrüster, BGB, 8. Aufl. 2018.
29. Wendtland, in Beck OK BGB, 50. Aufl. 2019.
30. Mansel/Jauernig, BGB, 17. Aufl. 2018.

31. Medien/Müller, Spindler/Schuster Elektron, BGB, 3. Aufl. 2015.
32. Ogilvie M.H., DOING “PRACTICAL JUSTICE” FOR DURESS IN CONTRACT LAW, Alberta law review, 2009.
33. Mansoor Z., Contracts Contrary to Public Policy under English and Dutch Law, 1 EUR. J. COMP. L. & GOVERNANCE 297 (2014).
34. Contract Void on Grounds of Public Policy, Harvard Law Review, Vol. 11, No. 2 (May 25, 1897), pp. 119-120.
35. A Law and Economics Look at Contracts against Public Policy, Harvard Review, Vol. 119, No 5 (mar., 2006), pp. 1445-1466.
36. Stephen A. Smith, CONTRACTING UNDER PRESSURE: A THEORY OF DURESS, 1997, 56 Cambridge Law Journal 343-373.
37. Gan O., Contractual Duress and Relations of Power, 36 HARV. J.L. & GENDER 171 (2013).
38. Raz J., About Morality and the Nature of Law, 48 AM. J. JURIS. 1 (2003).
39. Stewart H., formal approach to contractual duress, University of Toronto Law Journal, 47(2), (1997).
40. England G., Rafferty N., Contractual Variations: Consideration and duress, Osgoode Hall Law Journal 18.4 (1980): 627-638.
41. Hill J. L., A Utilitarian Theory of Duress, 84 IOWA L. REV. 275 (1999).
42. MacMillan C., Mistakes in Contract Law, Oxford and Portland, Oregon, 2010.

**გამოყენებული ნორმატიული აქტები:**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი